როგორც ჩანს, პიტუიტრინი ამცირებს სტრეს-ინდუცირებული შფოთვის რეაქციას, იწვევს ცხოველების ემოციური სტატუსის ნორმალიზაციას, რის გამოც სწორედ საცდელი ჯგუფის ცხოველებში “ღია ველის” ე.წ. “სტრესოგენულ” მოდიფიკაციაში ტესტირებისას უფრო ნაკლებად იცვლება ქცევის სტრატეგია “უსტრესო” მოდიფიკაციასთან შედარებით. თუ გაითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ “ღია ველში” ცხოველების ქცევა წარმოადგენს ემოციური სტრესის მიმართ მათი მდგრადობის პროგნოზირების კრიტერიუმს და, რომ სტრესის მიმართ უფრო მდგრად ცხოველებს უფრო მაღალი მოძრაობითი აქტიურობა აქვთ [4], შეიძლება ვთქვათ, რომ პრეპარატი ადაპტოგენური ზემოქმედებით ხასიათდება, რაც საეხებით შეესაბამება არსებულ შეხედულებას სტრესოგენული ზემოქმედებისას ქცევითი რეაგირების უზრუნველყოფაში ნეიროჰიპოფიზის სისტემის ჰორმონების როლის შესახებ [8].

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები საინტერესოა მომავალში პიტუიტრინის კლინიკური გამოყენების სფეროს გაფართოების პერსპექტივის თვალსაზრისით, რაც პრობლემის შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ცხრილი

**“ღია ველში” ქცევის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლები**

გამოსაკვლევი მაჩვენებლები	“უსტრესო” მოდიფიკაცია		“სტრესოგენული” მოდიფიკაცია	
	საკონტროლო	საცდელი	საკონტროლო	საცდელი
ცენტრში შესვლა	1,8	1,2	0,0 <sup>+</sup>	0,4 <sup>*</sup>
გადაკეითილი კვადრატები	69,4	52,5	19,5 <sup>+</sup>	32,0 <sup>+-</sup>
ჟურტიკალური ღვინოები	6,7	12,2	1,8 <sup>+</sup>	4,2 <sup>+</sup>
გრუნინგული რეაქციები	8,1	9,7	1,8 <sup>+</sup>	3,4 <sup>+</sup>
თაყის აწევები	16,6	11,9	2,9 <sup>+</sup>	7,5 <sup>*-0</sup>
გამოკვლეული “სოროები”	5,4	3,5	2,1 <sup>+</sup>	3,1
ღფფეკაცია	1,7	1,8	3,6	2,5

შენიშვნა: <sup>+</sup> –  $p < 0,01$  – უსტრესო მოდიფიკაციასთან შედარებით, <sup>\*</sup> –  $p < 0,01$  – საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, <sup>0</sup> –  $p < 0,05$  – უსტრესო მოდიფიკაციასთან შედარებით, <sup>-</sup> –  $p < 0,05$  საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

**ლიტერატურა**

1. კუჭულია მ., ბუცხრიციძე მ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიულ. სერ., 2001, 27, 369.
2. Буреш Я., Бурешова О., Хьюстон Д. Методики и основные эксперименты по изучению мозга и поведения. М., “Высшая школа”, 1991.
3. Венчиков А.И., Венчиков В.А. Основные приемы статистической обработки результатов наблюдений в области физиологии. М., “Медицина”, 1974.
4. Коллик Е.В., Салиева Р.М., Горбунова А.В. Журн. высш. нервн. деят., 1995, 45, 775.
5. Машковский М.Д. Лекарственные средства. М., “Медицина”, 1987.
6. Пономарева Н.С., Воскресенская О.Г., Каменский А.В., Голбунович В.П., Ашмарин И.П. Журн. высш. нервн. деят., 1998, 48, 471.
7. Хайнд Р. Поведение животных. М., “Мир”, 1975.
8. Engelmann M. Exp. Physiol., 2000, 85, 125.

## ВЛИЯНИЕ ПИТУИТРИНА НА ПОВЕДЕНИЕ КРЫС В УСЛОВИЯХ “ОТКРЫТОГО ПОЛЯ”

*М. Кунчулия*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили АН Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Представлены результаты исследования влияния экстрактивного препарата из задней доли гипофиза на поведение крыс в условиях «открытого поля». Было показано, что препарат (в дозе 10 мкг/кг) при тестировании так называемой “стрессогенной” модификации открытого поля вызывает повышение ориентировочно-исследовательской активности. Было выдвинуто предположение, что питуитрин обладает адаптогенной активностью, снижает проявление стресс-индуцированных реакций страха и, тем самым, нормализует эмоциональный статус животного.

## EFFECT OF PITUITRIN ON BEHAVIOR OF THE RATS IN THE OPEN FIELD

*M. Kunchulia*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

### SUMMARY

Results of study of the effect of pituitary extract preparation on the behavior of the rats in the open field are presented. It has been shown that during testing of so-called “stressogenic” modification of the open field the preparation (at a dose of 10 mkg/kg) induces increase of orienting-exploratory activity. The supposition was advanced that pituitrin possesses an adaptogenic activity, decreases the manifestation of stress-induced reactions of fear and thereby normalizes the emotional state of the animal.



## **პიტუიტრინის გავლენა ორმხრივი აქტიური განრიდების პირობითი რეაქციის ფორმირების დინამიურობაზე**

*მ. კუნჭულია, ე. მონიავა, მ. ბუცხრიკიძე*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 2.05.2002

ნაშრომში შესწავლილია პიტუიტრინის გავლენა ორმხრივი აქტიური განრიდების პირობითი რეაქციის ფორმირების დინამიურობაზე, პრეპარატის ინტრაპერიტონულად შეყვანისას ცდის დაწყებამდე 15 წთ ადრე, 10 მკგ/კგ დოზით. გამოვლენილ იქნა პრეპარატის გამაუმჯობესებელი გავლენა ამ რეაქციის ფორმირებაზე. თუმცა, პრეპარატის ეფექტი უფრო გამოხატული იყო ამ რეაქციის ფორმირების საწყის ეტაპზე. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ პიტუიტრინის მოქმედება უფრო ინტენსიურია სტრესის დროს და მიმართულია ორგანიზმის კოგნიტიური ფუნქციის გაზრდისაკენ.

საკვანძო სიტყვები: პიტუიტრინი, აქტიური განრიდება, დასწავლა, მეხსიერება

დღეისათვის არსებული წარმოდგენის თანახმად, ვაზოპრესინი აუმჯობესებს დასწავლისა და მეხსიერების პროცესებს, ხოლო ოქსიტოცინი საწინააღმდეგო ეფექტით ხასიათდება [5, 6]. ამ კონტექსტში ინტერეს-მოკლებული არ უნდა იყოს ჰიპოფიზის უკანა წილის ექსტრაქტული პრეპარატის – პიტუიტრინის გავლენის შესწავლა აღნიშნულ პროცესებზე, რომლის ძირითად მოქმედ ნივთიერებებს სწორედ ოქსიტოცინი და ვაზოპრესინი წარმოადგენს. ამ პრობლემის კვლევის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ კლინიკაში ხმარებული ეს პრეპარატი ამ კუთხით შესწავლილი არ არის.

მოცემულ შრომაში შესწავლილია პიტუიტრინის გავლენა ორმხრივი აქტიური განრიდების პირობითი რეაქციის (ოპპრ) ფორმირების პროცესზე.

### **მასალა და მეთოდები**

სამუშაო ჩატარებულია 16 მამრ უჯიშო ლაბორატორიულ ვირთაგვაზე. დასწავლა ხორციელდებოდა ადრე აღწერილი მეთოდიკის მიხედვით [1],

ბიკლით თანაბრად გაყოფილ ორგანული მინის კამერაში. პირობითი სიგნალის წყაროს წარმოადგენდა ელექტრონათურა, პირობით რეაქციას – მორე განყოფილებაში გადახტომა, უპირობო გამღიზიანებელს კი – ელექტროდენით მიყენებული მტკივნეული გაღიზიანება. დასწავლა ხორციელდებოდა 9 მომდევნო დღის განმავლობაში, ყოველდღიურად 20 შეუღლების (პირობითი სტიმულის უპირობოსთან) წარდგინებით. პირობითი რეაქციის დახასიათებისათვის გამოყენებული იყო დინამიური მაჩვენებელი Δ, რომელიც განისაზღვრებოდა, როგორც შესრულებულ რეაქციათა რიცხვის ცვალებადობა ზღვრულ შესაძლებელთან [1, 2].

სამუშაოში გამოყენებული იყო AB “Endocrinal preparat I” წარმოების პრეპარატი “პიტუიტრინი ინექციისათვის”. პრეპარატი შეგვყავდა ცდის დაწყებამდე 15 წთ ადრე 10 მკგ/კგ დოზით, გახსნილი ფიზიოლოგიურ ხსნარში. საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში შეგვყავდა ეკვივალენტური მოცულობის ფიზიოლოგიური ხსნარი. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისას ვიყენებდით მან-უიტნის U კრიტერიუმს.

### მიღებული შედეგები და მათი განხილვა

ორმხრივი აქტიური განრიდების პირობითი რეაქციის ფორმირებისას, რომლის დროსაც პიტუიტრინი ყოველდღიურად შეგვყავდა ცდის დაწყებამდე 15 წთ ადრე, აღინიშნებოდა შესრულებული რეაქციისათვის დინამიური მაჩვენებლის ზრდის დაჩქარება. აღსანიშნავია, რომ საცდელი ცხოველების ჯგუფში ეს მაჩვენებელი აღემატებოდა საკონტროლო ჯგუფის ცხოველების იგივე მაჩვენებელს ექსპერიმენტის ყოველ დღეს. თუმცა, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება საკონტროლო და საცდელ ჯგუფებს შორის აღინიშნებოდა ტესტირების მე-2, მე-3 და მე-4 დღეს. დანარჩენი მონაცემები სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო (იხ. ცხრილი).

ცხრილი

დინამიური მაჩვენებელი შესრულებული რეაქციებისათვის

ექსპერიმენტის დღეები	Δ(შრ) საკონტროლო ჯგუფი	Δ(შრ) პიტუიტრინის ჯგუფი
2	0,19	0,30*
3	0,44	0,53*
4	0,58	0,68*
5	0,63	0,72
6	0,76	0,77
7	0,76	0,80
8	0,79	0,86
9	0,80	0,89

შენიშვნა: \* – P < 0,05

როგორც ცნობილია, აქტიური განრიდების ფორმირების საფუძველს წარმოადგენს ქცევის ე.წ. “წარმატებული” შედეგების განმტკიცება. თავისთავად, თავდაცვითი ქცევა განსხვავებულია. იგი გამოიხატება

გაქცევით, როცა არის ამის საშუალება, “გაშეშების“ რეაქციით და სხვ. დასწავლის პროცესში ხდება ამ თანდაყოლილი ქცევის მოდიფიკაცია, ხდება ახალი ქცევითი აქტის წილის გაზრდა თავდაცვითი ქცევის საერთო წილში, ანუ დასწავლის პროცესი ხასიათდება განსაზღვრული თავდაცვითი ქცევის ცვლილების მიმართულებით [3]. ამ მხრივ, ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პიტუიტრინი იწვევს აქტიური თავდაცვითი მოტივაციის გაძლიერებას და ამით აუმჯობესებს დასწავლის პროცესს.

საგულისხმოა, რომ პიტუიტრინის მოქმედება უფრო გამოხატულია პირობითი რეაქციის ფორმირების საწყის, ე.წ. გენერალიზაციის სტადიაზე, რომელსაც განიხილავენ, როგორც ემოციურს. ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში ცხოველსათვის სტესოგენულობის [4] ხარისხი უფრო მაღალია, რაც განაპირობებს ამ, მისთვის ნაკლებად პროგნოზირებად, სიტუაციაში შფოთვის რეაქციის გაძლიერებას, რაც ნევატიურად აისახება პირობითი რეაქციის რეალიზაციის პროცესზე. გამომდინარე აქედან, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პიტუიტრინი ამცირებს ამ სტრეს-ინდუცირებულ შფოთვის რეაქციას და ამით აუმჯობესებს დასწავლისა და მეხსიერების პროცესებს. ამასთანავე, პრეპარატის მოქმედება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ტენინის მოტივაციურ-ემოციურ ფუნქციაზე ზემოქმედებით. ის, ალბათ, სპეციფიკურად მოქმედებს მეხსიერების პროცესებზე.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, პიტუიტრინი აუმჯობესებს ორმხრივი აქტიური განრიდების პირობითი რეაქციის ფორმირების პროცესს. ამასთანავე, მისი ეფექტი უფრო გამოხატულია საწყის სტადიაზე, რომელიც მეტი სტრესოგენულობით ხასიათდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ პიტუიტრინის მოქმედება, მსგავსად ვაზოპრესინისა, სტრესის დროს უფრო ინტენსიურია და მიმართულია ორგანიზმის კოგნიტიური ფუნქციის გაზრდისაკენ [7].

## ლიტერატურა

1. *კუნჭულია მ., ბუცხრიკიძე მ.* საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2001, 27, 469.
2. *Воскресенская О.Г., Титов С.А., Каменский А.А., Голубович В.П., Ашмарин И.П.* Журн. высш. нервн. деят., 1998, 48, 30.
3. *Зарайская И.Ю.* Журн. высш. нервн. деят., 1995, 45, 472.
4. *Меерсон Ф.З.* Адаптация, стресс и профилактика. М., “Наука”, 1981.
5. *Born J.* Prog. Brain Res., 1998, 119, 619.
6. *Croiset G.* Eur. J. Pharmacol., 2000, 405, 225.
7. *Gash O.M., Thomas G.* Neuroendocrinology, 1984, 38, 75.

## ВЛИЯНИЕ ПИТУИТРИНА НА ДИНАМИЧНОСТЬ ФОРМИРОВАНИЯ УСЛОВНОЙ РЕАКЦИИ ДВУСТОРОННЕГО АКТИВНОГО ИЗБЕГАНИЯ

*М. Кунчулия, Э. Моцава, М. Буцхрикидзе*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили АН Грузии

### РЕЗЮМЕ

В работе исследовано влияние питуитрина на динамику выработки условной реакции активного избегания при интраперитонеальном введении (10 мкг/кг, за 15 мин до обучения). Показано позитивное влияние питуитрина на эту реакцию, которое особенно выражено на начальном этапе формирования этого навыка. Выдвинуто предположение, что действие питуитрина в период стресса более интенсивно и направлено на повышение когнитивных функций.

## EFFECT OF PITUITRIN ON THE DYNAMICS OF THE FORMATION OF BILATERAL ACTIVE AVOIDANCE CONDITIONED REACTION

*M. Kunchulia, E. Moniava, M. Butskhrikidze*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

### SUMMARY

Effect of pituitrin on the dynamics of the formation of bilateral active avoidance conditioned reaction has been studied. During intraperitoneal injection of the preparation 15 min before the beginning of the experiment at a dose of 10  $\mu\text{g}/\text{kg}$ , effect of pituitrin on the formation of this reaction has been revealed. However, this effect was more pronounced at the initial stage. On the basis of analysis of the results obtained, the supposition has been made that effect of pituitrin was more intensive during the stress and is directed to the increase of cognitive function of the organism.

## პრეპარატ ბილიდაზის გავლენა რეტროვირუსული ანესთეზიის ეფექტურობაზე კატარაქტის მქსტრაკაფსულური მქსტრაქციისას

*მ. ლოლაძე, ა. ალექსიძე, მ. ტარასაშვილი, ც. თურმანიძე,  
თ. ქანიშვილი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიაშვილის სახელობის ბაქტერიო-  
ფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი;  
რესპუბლიკური ოფთალმოლოგიური ცენტრი, თბილისი

მიღებულია 18.03.2002

შესწავლილ იქნა მიკროვირუსული ჰიპოთრონიდაზის სამკურნალო პრეპარატ  
“ბილიდაზის” გავლენა რეტროვირუსული ანესთეზიისა და აკინეზიის ეფექ-  
ტურობაზე კატარაქტის ექსტრაკაფსულური ექსტრაქციების დროს. 200 ავა-  
დ-მყოფზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ნოვოკაინთან და  
ლიდოკაინთან ერთად “ბილიდაზას” შეყვანა იწვევს ანესთეზიის სტატისტიკურად  
სარწმუნო ( $P < 0,01$ ) გაუმჯობესებას. კერძოდ, ექსტრაოკულური კუნთის შედარებით  
ღრმა და სწრაფ ანესთეზიას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ოპერაციების  
წარმატებით ჩატარებას. ანესთეზიის აღნიშნული მეთოდის მნიშვნელოვან ღირსე-  
ბად შეიძლება ჩაითვალოს ოპერაციის შემდგომი გართულებების (სისხლჩაქ-  
ცვები, ფერადი გარსის პროლაფსი, წინა კამერის შევიწროვება და სხვა) მნიშ-  
ვნელოვანი შემცირება.

საკვანძო სიტყვები: ჰიპოთრონიდაზა, ბილიდაზა, კატარაქტა, რეტროვირუსული  
ანესთეზია,

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ხშირია გამოკვლევები ჰიპოთრო-  
ნიდაზული პრეპარატების გამოყენების შესახებ თვალის ქირურგიაში  
რეტროვირუსული და პერივირუსული ანესთეზიების დროს [1-3]

ფერმენტი ჰიპოთრონიდაზა, ახდენს რა ჰიპოთრონიის მჟავის დეპოლი-  
მერიზაციას, ცვლის მის კოლოიდურ მდგომარეობას, იწვევს ქსოვილების  
განვადობის გაზრდას, რის შედეგადაც უმჯობესდება ლიმფის და  
სისხლის მიმოქცევის სისტემებში ხსნადობის შეღწევადობისა და გან-  
ვლადობის სიჩქარე [4, 5]. ლიტერატურის მონაცემების მიხედვით ამ

ფერმენტის საანესთეზიო ნივთიერებებთან ერთად შეყვანა იწვევს მათი მოქმედების ეფექტურობის მნიშვნელოვან გაზრდას, სწრაფი და სრული ანესთეზიის დამყარებას, რაც ფასდება ძვრადობისა და მტკივნეულობის ხარისხის შემცირებით [6-8].

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნას მიკრობული ჰილურონიდაზის სამკურნალო პრეპარატ "ბილიდაზის" გავლენა რეტრობულბარული ანესთეზიისა და აკინეზიის ეფექტურობაზე კატარაქტების ექსტრაკაფსულური ოპერაციების დროს.

### მასალა და მათოღები

შესწავლილ იქნა კატარაქტის ექსტრაკაფსულური ექსტრაქციის ოპერაციების დროს რეტრობულბარული ანესთეზიის გამოყენების 200 შემთხვევა. ავადმყოფები დაყოფილ იქნენ 2 ჯგუფად. პირველ ჯგუფს ანესთეზიის დროს შეეყვანებოდა 3 მლ 4% ნოვოკაინის, 2 მლ 5% ლიდოკაინისა და 1 მლ ბილიდაზის ნარევი. გამოიყენებოდა რეტრობულბარული ბლოკადის სტანდარტული ტექნიკა.


ადგილობრივი ანესთეტიკების მუშეობით მიღწეული რეტრობულბარული ანესთეზიის შედეგს - თვალის კაკლის აკინეზიას - გამოწმებით შეყვანიდან 10, 20 და 30 წუთის შემდეგ. შეფასება ხდებოდა თვალის კაკლის მოძრაობის ხარისხის მიხედვით ამა თუ იმ ექსტრაოკულური კუნთის მოქმედების მიმართულებით 4 კვადრანტში ბალების სისტემით: 0 - ბლოკადის არარსებობა, 1 - ნაწილობრივი ბლოკადა, 2 - სრული ბლოკადა. სრული აკინეზია ოთხივე კვადრანტში ფასდებოდა 8 ბალით. თუ 30 წუთის შემდეგ საწყისი ბლოკადა ეფექტური არ იყო, ხდებოდა ადგილობრივი ანესთეტიკების დამატებითი შეყვანა.

ანესთეზიის ეფექტურობასთან ერთად, ორივე ჯგუფში ფასდებოდა ქირურგიული გართულებების, კერძოდ, ფერადი გარსის გამოვარდნის, სისხლჩაქცევების, მინისუერი სხეულის გამოვარდნისა და თვალის წინა საკნის შევიწროვების შემთხვევები.

### მიღებული შედეგები და მათი განხილვა

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ბილიდაზის თანაობისას განხორციელებული ანესთეზიის დროს სრული აკინეზია (აკინეზიის ბალი > 6) მიიღწეოდა ბლოკადის მნიშვნელოვნად მეტი რიცხვის შემთხვევაში, ვიდრე ბილიდაზის გარეშე (სურ. 1).

ბილიდაზის თანაობისას და ბილიდაზის გარეშე ჩატარებული ანესთეზიის შედეგად ორეპაციის შემდგომი გართულებების სიხშირის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს გართულებები ბილიდაზის თანაობისას უფრო მცირეა, ვიდრე ბილიდაზის გარეშე ჩატარებული ანესთეზიის დროს (ცხრილი 1).



სურ. 1 წარმატებული ანესთეზიისა და აკინეზიის შემთხვევების რაოდენობა (%) ადგილობრივი ანესთეტიკების ერთჯერადი რეტრობულბარული შეყვანის დროს ბილიდაზასთან ერთად და მის გარეშე: 1 – 10 წთ-ის შემდეგ; 2 – 20 წთ-ის შემდეგ; 3 – 30 წთ-ის შემდეგ.

ცხრილი 1

**კატარაქტის ექსტრაკაფსულარული ექსტრაქციისას ქირურგიული გართულებების შეფასება ადგილობრივი ანესთეტიკების ბილიდაზასთან და მის გარეშე რეტრობულბალურად შეყვანის დროს**

ქირურგიული გართულებები	ადგილობრივი ანესთეტიკების შეყვანა	
	ბილიდაზასთან ერთად, n = 100	ბილიდაზის გარეშე, n = 100
ფერადი გარსის გამოვარდნა	2	2
წინა საკნის შევიწროვება	2	8
სისხლჩაქცევები	1	7
ოპერაციის მსვლელობისას მინისებური სხეულის გამოვარდნა	3	12
<b>სულ:</b>	<b>8</b>	<b>29</b>

ამრიგად, ბილიდაზიან ფაფეში რეტრობულბარული ანესთეზია იწვევს ექსტრაოკულური კუნთის სტატიკურად სარწმუნო ( $P < 0.01$ ), შედარებით დრმა და სწრაფ ანესთეზიას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თვალის კაკალზე ოპერაციების წარმატებით ჩატარებას. ანესთეზიის აღნიშნული მეთოდის მნიშვნელოვან უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ოპერაციის შემდგომი გართულებების (სისხლჩაქცევები, ფერადი გარსის პროლაფსი, წინა კამერის შევიწროვება და სხვა) შემცირება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფერმენტი ჰიალურონიდაზა მნიშვნელოვან როლს თანაშობს სისხლძარღვოვან-ქსოვილურ განვლადობაში. ამ ფერმენტის შემცველი პრეპარატები აჩქარებენ მასთან ერთად შეყვანილი მე-

დიკამენტების გაწოვას. სწორედ ეს თვისებები განაპირობებს ჰიალურონიდაზული პრეპარატების ეფექტურ გამოყენებას ანესთეზიოლოგიაში. ეს პრეპარატები საშუალებას იძლევა მცირე რაოდენობით მაანესთეზირებელი ნივთიერების გამოყენებით მივიღოთ ღრმა გაუტკივარება. ამასთან ჰიალურონიდაზული პრეპარატები, ზრდიან რა ქსოვილების განვლადობას, ხელს უწყობენ შეყვანილი საინექციო ნივთიერებების გავრცელებას დიდ ფართობზე, რაც ამცირებს მათ ლოკალურ კონცენტრაციას და აუმჯობესებს მათ აღსორბციას. სავარაუდოა, რომ ყოველივე ეს ამცირებს მტკივნეულობას და ნეკროზების წარმოქმნის რისკს.

ჩვენი სამუშაოს შედეგად მიღებული შედეგები მიუთითებს კატარაქტის ექსტრაკაფსულური ექსტრაქციის დროს ბილიდაზის თანაობისას რეტრობულბარული ანესთეზიის გაუმჯობესებაზე. პრეპარატი ბილიდაზა ხელს უწყობს თვალის უფრო ღრმა ანესთეზიასა და აკინეზიას, ანესთეზიის ეფექტის უფრო სწრაფ განვითარებას. ქირურგიული უსაფრთხოების თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ოპერაციის თანმდევი გართულებების შემცირება. ამ მოვლენის მექანიზმი შეიძლება აიხსნას ოკულარული სტრუქტურების უფრო ღრმა და სრული ანესთეზიით, რაც თავისთავად გეცოდნებს პაციენტის დაძაბულობას და ოპერაციის მიმდინარეობის დროს ამ მიზეზით გამოწვეულ გართულებებს. ამავე დროს ჰიალურონიდაზა აადვილებს რეტრობულბარულად შეყვანილი ხსნარების გაწოვას, რამაც თავის მხრივ შეიძლება შეამციროს წნევა თვალზე და მისგან გამოწვეული უარყოფილი შედეგები [9-12].

**ლიტერატურა:**

1. Hagan J.C. 3rd. Hill. Journal of Cataract & Refractive Surgery. 2001, 21, 712-714.
2. Mantovani C., Bryant A.E. Nicholson G. British Journal of Anaesthesia, 2001 86, 876-878.
3. Kallio H. Paloheimo M. Maumuksela E.L. Anesthesia & Analgesia, 2000, 91, 934-937.
4. Menzel E.J., Farr C. Cancer Letters, 1998, 131, 3-11.
5. Farr C., Menzel J., Seeberger J., Schweigle B. Wiener Medizinische Wochenschrift, 1997, 147, 347-55.
6. Krohn J., Seland J.H., Hovding G., Bertelsen T., Aasved H., Haugen O.H. Acta Ophthalmologica, 1993, 71, 791-5.
7. Martin J., Niccoll V., Treuran B. et al. Anaesth. Analg., 1986, 65, 1323-1328.
8. Thomson J. Brit. J. Opthamol., 1988, 72, 9, 700-702.
9. Dutton G.N. Brit. J. Opthalmol., 1994, 78, 238.
10. Geliassa A., Porte-Cazaux A., Lafont C. Can. Anaesthesiol., 1992, 40, 19-22.
11. Abalson M., Mandel E., Paradis A., George M. Ophthalmic Surgery, 1989, 20, 325-326.
12. Caliana A., Porte-Cazaux A., Lafont C. at al. Can. Anaesthesiol., 1992, 40, 12-22.



## **ВЛИЯНИЕ ПРЕПЕРАТА БИЛИДАЗЫ НА ТЕЧЕНИЕ РЕТРОБУЛЬБАРНОЙ АНЕСТЕЗИИ ПРИ ЭКСТРАКАПСУЛЯРНОЙ ХИРУРГИИ КАТАРАКТ**

*М. Лоладзе, А. Алексидзе, М. Тарасашвили, Ц. Турманидзе, Т. Чанишвили*

Институт бактериофагии, микробиологии и вирусологии Академии Наук Грузии, Тбилиси;  
Республиканский офтальмологический центр, Тбилиси

### **РЕЗЮМЕ**

Было изучено влияние лечебного препарата микробной гиалуронидазы – билидазы, на эффективность ретробульбарной анестезии и акинезии при экстракапсулярной экстракции катаракт. Данные исследования 200 больных показали, что введение новокаина и лидокаина совместно с билидазой вызывает статистически достоверное ( $P < 0,01$ ) улучшение анестезии. В частности, билидаза способствует наступлению относительно быстрой и глубокой анестезии и тем самым более успешному проведению операции. Особенно надо отметить снижение операционных осложнений, таких как выпадение радужки и стекловидного тела, кровоизлияния и узость передней камеры, при данном методе анестезии.

## **THE EFFECT OF PREPARATION BILIDASE ON RETROBULBAR ANAESTHESIA IN EXTRACAPSULAR CATARACT SURGERY**

*M. Loladze, A. Aleksidze, M. Tarasashvili, Ts. Turmanidze, T. Chanishvili*

G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi;  
Republic Ophthalmologic Centre, Tbilisi

### **SUMMARY**

The effect of microbial hyaluronidase preparation Bilidase on the efficacy of retrobulbar anesthesia and akinesia in extracapsular cataract surgery has been studied. Investigation conducted on 200 patients has shown, that combined application of bilidase with Novocain and lidocain caused statistically significant ( $P < 0.01$ ) improvement of the local anesthesia. Bilidase provided more rapid and deep anesthesia and thus safe conditions for successful surgery. It is very important to mention that there was significantly lower incidence of intraoperative complications, such as iris prolapse, hemorrhages, shallow anterior chamber, vitruos bulging.

## **IgE-დამოკიდებული რეაქციების როლი ჰიპერმგრძობელობის განსხვავებული ტიპით მიმდინარე ალერგიული და აუტოიმუნური დაავადებების დროს**

*ნ. ლომიშვილი, ნ. მიცკეაძე, ნ. ამბროსიძე, ნ. ფორაქიშვილი*

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 25.03.2002

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჰიპერმგრძობელობის სხვადასხვა ტიპით მიმდინარე დაავადებების, ალერგიული რინიტის (არ), ბრონქული ასთმის (ბა), ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტის (ჰაა) და სისტემური წითელი მგლურას (სწმ) იმუნოპათოგენეზში IgE-ს როლის განსაზღვრა. საკვლევ პირთა სისხლის შრატში საერთო IgE-ს დონეს ვსაზღვრავდით იმუნოფერმენტული მეთოდით. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ IgE-ს დონე მნიშვნელოვნადაა მომატებული არ-ის, ბა-ს და სწმ-ს მქონე პირებში. ება-თი დაავადებულებში და სწმ-ს გლომერულონეფრიტით გართულებების დროს პაციენტთა სისხლის შრატში საერთო IgE-ს დონე ნორმის ფარგლებში რჩება.

საკვანძო სიტყვები: იმუნოგლობულინი E – IgE, ალერგიული რინიტი, ბრონქული ასთმა, ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი, სისტემური წითელი მგლურა

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა IgE-ს სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი დაავადებების დროს, რომელთა იმუნოპათოგენეზში IgE-დამოკიდებული რეაქციების მონაწილეობა დადასტურებულია. ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია IgE-ს როლი აუტოიმუნურ პროცესებში და შეგვედარებინა ჩვენს მიერვე შესწავლილი განსხვავებული პათოგენეზის ალერგიულ დაავადებებთან.

როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, სისტემური წითელი მგლურა წარმოადგენს აუტოიმუნურ დაავადებას, რომლის პათოგენეზში განმსაზღვრელი როლი ენიჭება ჰიპერმგრძობელობის II და III ტიპის რეაქციებს [7, 8]. აღნიშნული პათოლოგიის შესახებ არსებულ ლიტერატურაში არ არის მონაცემები IgE-დამოკიდებული რეაქციების შესაძლო მონაწილეობაზე არც გართულების გარეშე სწმ-ს და არც გლომერულონეფრიტით გართულებულ სწმ-ს განვითარებაში.

ეგზოგენური ალერგიული ალვეოლიტი მართებულად ითვლება იმუნოპათოლოგიურ დაავადებად, რომლის განვითარებაშიც წამყვანი როლი ენიჭება ჰიპერმგრძობლობის III და IV ტიპის რეაქციებს [1, 2, 12], განსაკუთრებით კი იმუნოკომპლექს-დამოკიდებულ ქსოვილთა ალერგიულ დაზიანებას.

ალერგიული რინიტის პათოგენეზში წამყვანი როლი, როგორც წესი, ძირითადად დაუყოვნებელი ტიპის IgE-დამოკიდებულ რეაქციებს ეკუთვნის [3], ხოლო ბრონქული ასთმის განვითარება შესაძლოა ორი მიმართულებით წარიმართოს: IgE-სა და T-ლიმფოციტებზე დამოკიდებული მექანიზმებით [4] და IgE-საგან დამოუკიდებელი T-ლიმფოციტებზე დამოკიდებული მექანიზმებით [6].

### მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა ალერგიული დაავადებების მქონე 89 პირი (32 – ბა, 39 – არ, 22 – მან), 24 სწმ-ით და 15 გლომერულონეფრიტით გართულებული სწმ-ით დაავადებული (სწმ-გნ). საკონტროლოდ შერჩეულ იქნა პრაქტიკულად ჯანმრთელი 40 პირი, რომელთაც ანამნეზში არ აღენიშნებოდათ ალერგიული გამოვლინებანი. სისხლის შრატში საერთო IgE-ს განსაზღვრისათვის ეყენებდით რეაქტივების ნაკრებს, დამზადებულს НПО "Биотехнология"-ში (რუსეთი). 96-ფოსთიან მიკროპლეიტში, რომლის კედლებზე დატანილია ანტი-IgE მონოკლონური ანტისხეულები (მას), შეგვკონდა 200 მკლ გასარეცხი ხსნარი 1 წთ-ით, შემდეგ ვღვრიდით. პლეიტის გარეცხვის პროცედურას ვიმეორებდით, შემდეგ პლეიტს ვაშრობდით ფილტრის ქაღალდზე დაპირქვავებით. საკალიბრო სტანდარტები, საკონტროლო შრატები და ნულოვანი კონტროლი შეგვკონდა 15-15 მკლ ოდენობით თითოეულ ფოსოში დუბლიკატებში. საკვლევი ნიმუშები ასევე დუბლიკატებით შეგვკონდა დარჩენილ თავისუფალ ფოსოებში. ნიმუშებს IgE-ს მოსალოდნელი მაღალი კონცენტრაციით (1000 საერთაშორისო ერთეული/მლ-ზე მეტი) წინასწარ ვანზავებდით 10-ჯერ და მეტად, ნულოვანი კონტროლით. მიღებულ მნიშვნელობას ვამრავლებდით განზავების ხარისხზე. პეროქსიდაზის კონიუგატის ხსნარის 100 მკლ შეგვკონდა ყველა ფოსოში, ვასუსპენდირებდით ფოსოს შემცველობას 2-3-ჯერ. პლეიტს ვახურავდით თავსახურს და ვდგამდით თერმოსტატში 1 სთ-ით, 37 °C-ზე. ინკუბაციის შემდეგ პლეიტის შიგთავსს ვღვრიდით, ვრეცხავდით 5-ჯერ გასარეცხი ხსნარით და ვაპირქვავებდით ფილტრის ქაღალდზე გამოსამქვავენებელი ხსნარის 115 მკლ შეგვკონდა თითოეულ ფოსოში და ვაყოვნებდით ოთახის ტემპერატურაზე სიბნელეში, 10 წთ. გამოსამქვავენებელ ხსნარს ვამზადებდით მის გამოყენებამდე 5-10 წუთით ადრე შემდეგნაირად: ჰიდროპერიტის 1 ტაბლეტს ეხსნიდით 10 მლ გამოხდილ წყალში, ხოლო 2 ტაბლეტ ქრომოგენს – 12 მლ სუბსტრატულ ბუფერში. შემდეგ ამ უკანასკნელის 24 მკლ ვუმატებდით ჰიდროპერიტის ხსნარს. ფერმენტულ


რეაქციას ვანერებდით  $H_2SO_4$ -ის 10% ხსნარის 50 მკლ-ის დამატებით თითოეულ ფოსოში.

შულტისკან MCC (EFLAB) სპექტროფოტომეტრში ვსაზღვრავდით ოპტიკურ სიმკვრივეს 492 ნმ ტალღის სიგრძეზე. დუბლიკატებისათვის ვითვლიდით საშუალო არითმეტიკულს, ვაგებდით გრაფიკს საკალიბრო სტანდარტების ოპტიკური სიმკვრივების მნიშვნელობისათვის. ანალიზის სისწორეს ვამოწმებდით საკონტროლო შრატის ოპტიკური სიმკვრივის მახვენებლებით. აგებული გრაფიკის მიხედვით ვსაზღვრავდით IgE-ს კონცენტრაციის მნიშვნელობებს გამოსაკვლევ ნიმუშებში საერთაშორისო ერთეულებში 1 მლ-ზე.

მიღებული შედეგების სტატისტიკურ დამუშავებას ვახდენდით სტიუდენტის მიხედვით, სიდიდეები, მოყვანილი გრაფიკებსა და ცხრილებში, წარმოადგენს საშუალო არითმეტიკულს (M) და საშუალო არითმეტიკულის ცდომილებას (m):  $M \pm m$ . შედეგის სარწმუნოებას ვსაზღვრავდით P სიდიდის საშუალებით.

**მიღებული შედეგები და მათი განხილვა**

როგორც დიაგრამიდან ჩანს (სურ. 1), საკვლევ პირთა სისხლის შრატში საერთო IgE-ს დონე მნიშვნელოვნადაა მომატებული გაურთულებელი სწმ-ს შემთხვევებში, მაშინ როცა გლომერულონეფრიტით გართულებული სწმ-ს მქონე პირებში ნორმის ფარგლებში ნარჩუნდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწმ-ს დროს ადგილი აქვს აუტომუნურ რეაქციებში IgE-ს მონაწილეობას, რაც მიუთითებს თავისუფალი IgE-ს ან IgE-შემკვველი იმუნური კომპლექსების ქსოვილებში ფიქსირებას.



სურ. 1. შრატის საერთო IgE-ს კონცენტრაცია ჯანმრთელი დონორების, სწმ, სწმ-პნ, არ, ბა, მას დაავადებულებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, IgE-ს დონის მკვეთრად მომატებული მანევრებული დაფიქსირდა არ მქონე პაციენტებში. ბა მქონე პირებშიც IgE-ს მანევრებული გაზრდილი აღმოჩნდა, ხოლო შაბა-ს დროს პაციენტთა სისხლის შრატში საერთო IgE-ს მანევრებული ნორმის ფარგლებში იყო.

IgE-ს მატება სისხლის შრატში შეიძლება B-ლიმფოციტების მატებას მივაწეროთ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწვავე გლომერულონეფრიტისა და შაბა-ს შემთხვევებშიც IgE-ს დონე უნდა მომატებულიყო ლიმფოციტების რიცხვის ზრდის გამო, რაც არ შეესაბამება მიღებულ შედეგებს.

ცნობილია, რომ შრატის IgE-ს კონცენტრაცია ყოველთვის არ ასახავს ორგანიზმში ამ იმუნოგლობულინის სინთეზის ინტენსიურობას და არ შეიძლება ჩაითვალოს იმუნიტეტის კომპონენტის ფუნქციური მდგომარეობის კრიტერიუმად [5]. ამავე დროს, შრატის IgE-ს დონე შეიძლება მეტყველებდეს იმუნიტეტის B-უჯრედული კომპონენტების აქტივობაზე. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე თეორიას B-ლიმფოციტების დიფერენცირების შესახებ [11], რომლის მიხედვითაც  $T_{H1}$  და  $T_{H2}$  პროფილის შესაბამისად ხდება B-ლიმფოციტების  $B_{E1}$  და  $B_{E2}$  პოლარიზებულ უჯრედებად დაყოფა, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ  $T_{H1}/T_{H2}$  ბალანსზე და მილაურად არეგულირებენ იმუნური პასუხის პროფილს, შეგვიძლია ვივარაუდოთ შემდეგი: ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაციენტებში გამოვლენილი B-ლიმფოციტების მატება [9, 10], სხვადასხვა ნოზოლოგიური ფორმის დროს განსხვავებული პროფილის  $B_{E1}$  და  $B_{E2}$  უჯრედების რაოდენობრივი ცვლილებებით უნდა იყოს განპირობებული. კერძოდ, ბა-ს, არ-ის და გაურთულებელი სწმ-ს დროს  $B_{E1}/B_{E2}$  ბალანსი გადახრილი უნდა იყოს  $B_{E2}$  უჯრედებისკენ, ხოლო შაბა-ს და გლომერულონეფრიტით გართულებული სწმ-ს დროს –  $B_{E1}$  უჯრედებისკენ.

**ლიტერატურა**

1. Авдеева О.Е., Авдеев С.Н., Чучалин А.Г. РМЖ Пульмонология, 1997, 5, 1121-1129.
2. Хоменко А.Г., Мюллер С., Шиллинг В. Медицина, 1987, 36-60.
3. Djunkanovic R, Wilson S.Y., Hovart P.H. Clin and Exp. Allergy. 1996, 26, 44-51.
4. Gauchat et al. Nature, 1993, 365, 340- 343.
5. Gerard J.H., Dalgleish R., Ko C.G., Tan L.K. Clin. Exp. Immunol., 1997, 29, 447-456.
6. Kay A.B. J Allergy Clin. Immunol. 1991, 87, 893-910.
7. Lesley J., Isenberg M.A., Isenberg D.A. Ballers Clinical Rheumatology, 1996, 12, 390-391.
8. Leung D.Y.M., Brozek C., Frankel R., Geha R.S. Clin. Immunol. Immunopathol., 1984, 32, 339-350.
9. Lomishvili N., Kalandadze N., Porakishvili N. Bull. Georgian Acad. Sci., 2001, 43, 61-64.
10. Mitskevichi N., Khechinashvili G., Porakishvili N. Trans-Caucasian J. Immunology, 2000, 2, 14-27.
11. Porakishvili N., Mageed R., Jamin C., Pers J.-O., Kulikova N., Renaudineau Y., Lydyard P., Youinou P. Scand. Journal of Immunology, 2001, 54, 30-38.
12. Salvaggio I.E. Clin.Exp. Allergy, 1997, 27, 18-25.

## РОЛЬ IgE-ЗАВИСИМЫХ РЕАКЦИЙ ВО ВРЕМЯ АЛЛЕРГИЧЕСКИХ И АУТОИММУННЫХ ЗАБОЛЕВАНИЙ, ПРОТЕКАЮЩИХ ПО РАЗНОМУ ТИПУ ГИПЕРЧУВСТВИТЕЛЬНОСТИ

*Н. Ломишвили, Н. Мицкевичи, Н. Амаглобели, Н. Поракишвили*

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Целью наших исследований являлось определение роли IgE при различном течении гиперчувствительных заболеваний: аллергических ринитов (АР), бронхиальной астмы (БА), экзогенных аллергических альвеолитов (ЭАА) и системной красной волчанки (СКВ). В сыворотке крови исследованных лиц общий уровень IgE определяли иммуноферментным методом. В результате исследования было обнаружено, что уровень IgE значительно повышен у лиц во время АР, БА и СКВ. Среди лиц-носителей заболевания ЭАА и во время осложнений СКВ гломерулонефритом уровень общего IgE у пациентов остается в пределах нормы.

## THE ROLE OF IgE-DEPENDENT REACTIONS IN DIFFERENT TYPES OF HYPERSENSITIVITY IN ALLERGIC AND AUTOIMMUNE DISEASES

*N. Lomishvili, N. Mitskevichi, N. Amaglobeli, N. Porakishvili*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

The aim of this study was to evaluate the role of IgE in pathogenesis of the diseases with different type of hypersensitivity such as allergic rhinitis (AR), bronchial asthma (BA), extrinsic allergic alveolitis (EAA), systemic lupus erythematosus (SLE) and systemic lupus erythematosus complicated by glomerulonephritis (SLE-GN). The general level of IgE in the serum of the patients was detected by ELISA. According to our data the level of IgE was increased in patients with AR, BA, and SLE and was normal in patients with EAA and SLE-GN. We hypothesise that BA, AR and SLE develops as  $Be_2$  type of cytokine/Ig balance, while EAA and SLE-GN belongs more to the  $Be_1$  type.

## კანის სისხლქარღვები ჰემორაგიული გამონაყარის დროს C-ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულეებში

*მ. ლორთქიფანიძე*

ე.წითლანაძის სახელობის რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, თბილისი

მიღებულია 10.04.2002

HCV-ინფიცირებული 5 ავადმყოფიდან 4-ს, კანზე ჰემორაგიული გამონაყარის უბნებში გამოუვლინდა ლეიკოციტოკლასტიური ვასკულიტი, ხოლო ერთს, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ მცირერიცხოვანი პეტეჩიები, პერივასკულარული ინფილტრაცია. დაზიანების კერაში ყველას აღნიშნებოდა მეტ-ნაკლებად გამოხატული ენდოთელიოციტების მკვეთრი აქტივაციის ნიშნები, რაც დაადასტურა ენდოთელური უჯრედების ბირთვებში AgNor-ცილების შემცველობის და განაწილების შესწავლამ. ენდოთელური უჯრედების ნაკლებად გამოხატული აქტივაცია გამოვლინდა HCV-ინფიცირებულთა დაუზიანებელი კანის ზოგიერთ მიკროსისხლძარღვშიც.

საკვანძო სიტყვები: ჰეპატიტი C ვირუსი (HCV), ჰემორაგიული გამონაყარი, ლეიკოციტოკლასტიური ვასკულიტი, ენდოთელიოციტების აქტივაცია, AgNor-ცილები

ჰეპატიტის C ვირუსით (HCV) ინფიცირებულ პირებს ხშირად უვითარდებათ სხვადასხვა რევმატიული სინდრომები [4]. შემავრთებელი ქსოვილის დაზიანების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კანის ლეიკოციტოკლასტიური ვასკულიტები [2]. მიუხედავად იმისა, რომ HCV დაავადებულეებში ეს პათოლოგიური პროცესი საკმაოდ ხშირია, როგორც [3] ნაშრომიდან ჩანს, ეს საკითხი, კვლევის მორფოლოგიური მეთოდებით ნაკლებად არის შესწავლილი. აღნიშნულმა ავტორებმა, HCV-ინფიცირებულეების პალპირებადი პურპურის უბნებში აღმოაჩინეს ენდოთელიური უჯრედების აქტივაცია, რომელსაც განაპირობებს II ტიპის კრიოგლობულინების ერთ-ერთი, მაღალი მოლეკულური მასის (HMW) მქონე ფრაქციის ზემოქმედება ენდოთელიოციტებზე. ეს, თავის მხრივ, ზრდის სისხლძარღვების კედლების განვლადობას, იწვევს მათ ნეიტროფილებით ინფილტრაციას და, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების რეცეპტორების რიცხვის მატების მეშვეობით, განაპირობებს ვირუსის ენდოციტოზს.

მიუხედავად იმისა, რომ HCV-ინფიცირებულთა სისხლძარღვების ენდოთელიური უჯრედების აქტივაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაავადების პათოგენეზში, არც [3], არც სხვა მკვლევარებს არ გამოუყენებიათ რიბოსომული ცისტრონების აქტივობის განსაზღვრის ისეთი თანამედროვე და ინფორმაციული მეთოდი, როგორცაა ბირთვაკების შეღებვა AgNor-ცილებზე [5]. ამიტომ მათ ვერ აღმოაჩინეს ნორმიდან გადახრა ჰემორაგიული გამონაყარის მქონე პაციენტების დაუზიანებელი კანის უბნებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მორფოლოგიური კვლევის ჰისტოლოგიური, ელექტრონ-მიკროსკოპიული და ელექტრონ-მიკროსკოპიული ციტოქიმის (AgNor-ცილებზე შეღებვით) მეთოდების კომპლექსური გამოყენებით შეგვესწავლა და შეგვედარებინა HCV-ინფიცირებულთა ჰემორაგიული გამონაყარის და დაუზიანებელი უბნებიდან აღებული კანის ბიოპტატები.

**მასალა და მეთოდეზი**

გამოკვლევა ჩატარდა 5 ავადმყოფზე. ადრე აღვნიშნეთ საქართველოში HCV ინფიცირებულებში სისტემური დაზიანების ნაკლები გამოხატულება [1]. მხოლოდ 6 ანალოგიური პაციენტის კანი შეისწავლეს სხვა ავტორებმა [3]. გამოკვლევის პროცესში ვახდენდით ავადმყოფების ნუმერაციას. № 2 და № 3 პაციენტებს ჰქონდათ პურპურა ქვემო კიდურებზე და მუცლის მიდამოში. დანარჩენებში ჰემორაგიული გამონაყარი ძირითადად მოისაზღვრებოდა პეტექიებით ბარძაყების მიდამოში. № 5 პაციენტს ჰემორაგიული გამონაყარი ყველაზე სუსტად ჰქონდა გამოხატული. ყველა პირს გამოუვლინდა მეტ-ნაკლები ხარისხის კრიოგლობულინემია.

პუნქციურ ბიოპსიას ვაწარმოებდით სპეციალური 2 მმ-იანი "Biopsy punch" მეშვეობით. კანის ბიოპტატებს ვიღებდით ჰემორაგიული გამონაყარის უბნებიდან, ბარძაყის მედიალურ ზედაპირზე. სხეულის იმავე ნახევრის წინამხრის მომხრელთა ზედაპირიდან ვიღებდით კანის დაუზიანებელ უბნებს. საკონტროლო ჯგუფი შეადგინა სამმა ჯანმრთელმა პირმა. მათშიც კანის ალება ხდებოდა ბარძაყის და წინამხრის ანალოგიური ზედაპირებიდან.

ნაჭრების გატარება და პრეპარატების დამზადება ჰისტოლოგიური და ტრანსმისიული ელექტრონ-მიკროსკოპიული კვლევისათვის მიმდინარეობდა კარგად ცნობილი მეთოდების გამოყენებით. ჰისტოლოგიური პრეპარატები იღებებოდა ჰემატოქსილინ-ეოზინით. არგენტოფილურ ცილებზე შეღებვა ხდებოდა [5] მეთოდით: დაქუცმაცებული ქსოვილი ფიქსირდებოდა 0.1 M ზერენსენის (pH = 7,2) ფოსფატურ ბუფერზე დამზადებულ 1% გლუტარალდეჰიდის ხსნარში, 10 წუთის განმავლობაში, 4°C ტემპერატურაზე. გარეცხვის შემდეგ კვლავ ფიქსირდებოდა კარნუას ხსნარში (ეთანოლის 3 წილი და ყინულოვანი ძმრის მჟავას 1 წილი) 10 წუთის განმავლობაში, 4°C-ზე. შეღებვამდე ქსოვილები გადაგვეკონდა დადამავალ სპირტებში და ბიდისტილირებულ წყალში: 50% ეთანოლი 2-ჯერ, 10 წუთი; 30% 2-ჯერ, 10




წუთი და შემდეგ ბიდისტილატი. შედეგებს ვახდენდით მინის ან პოლი-  
ეთილენის სინჯარებში, აზოტმჟავა ვერცხლის წყალხსნარის მეშვეობით  
(1 გრ. 1 მლ ბიდისტილირებულ წყალზე). შტატივს სინჯარებით ვათავ-  
სებდით ყინულის აბანოში და ყოველ სინჯარაში მიკროპიპეტით ვასხამ-  
დით 0,2 მლ აზოტმჟავა ვერცხლს და 0,2 მლ ფორმალდეჰიდს მეთანოლით  
(შეფარდებით 4:1). შემდეგ შტატივს სინჯარებით ვათავსებდით  
ულტრათერმოსტატში 60 °C-ზე და ვახდენდით ინკუბაციას 3, 5, 10, 20, 40  
წუთის განმავლობაში. ინკუბაციის პერიოდში შემდეგავი სითხე იმღვრევა;  
რეაქციას ვაჩერებდით სინჯარებში ყინულოვანი ბიდისტილატის დამა-  
ტებით. შემდეგ ქსოვილების ნაჭრები ირეცხებოდა ყინულოვანი ბიდისტი-  
ლირებელი წყლით არანაკლებ 5-ჯერ, 30 წუთის განმავლობაში, 4 °C-ზე.  
დანარჩენი პროცედურები იყო იგივე, რაც ტრანსმისიული ელექტრონული  
მიკროსკოპიისათვის. AgNor-ციდელებზე შედეგილ ულტრათხელ ანათლებს  
ვაკვირდებოდით ტყვიის და ურანის მარილებით კონტრასტირებამდე და  
კონტრასტირების შემდეგ.

## მიღებული შედეგები და მათი განხილვა

დერმის მეტ-ნაკლებად გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია ჰქონდა  
ყველა პაციენტს. კანის დაზიანების ხარისხი გარკვეულად განაპირობებდა  
ლესტრუქციული ცვლილებების მქონე სისხლძარღვთა რაოდენობას.  
ლოკალიზაციის თვალსაზრისით ამკარად იყო გამოხატული, რომ ალ-  
ტერაციას განიცდიდნენ უპირატესად ეპიდერმისთან ახლოს განლაგებული  
მიკროსისხლძარღვები. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ად-  
გილი ჰქონდა ე.წ. ლეიკოციტოკლასტიურ ვასკულიტს. სურ. 1-ზე ჩანს, რომ  
არტერიოლის კედელში, ძირითადად, ადგილი აქვს ჩვეულებრივ ჰისტო-  
ლიმფოციტურ ინფილტრაციას, მაგრამ გარკვეული რაოდენობით ვლინ-  
დებოდა ნეიტროფილური ლეიკოციტების ბირთვების კარიორექსისი, ანუ  
ლეიკოციტოკლაზია. ამ მოვლენას ბირთვის “მტვრის” წარმოქმნას უწო-  
დებენ. ასეთი ცვლილების მქონე ლეიკოციტები ყოველთვის რამდენიმე  
ერთეულის სახით არის წარმოდგენილი. ყურადსაღებია, რომ ნეიტრო-  
ფილური ლეიკოციტების ბირთვაკების კარიორექსისს ანუ ლეიკოცი-  
ტოკლაზიას ადგილი ჰქონდა არა მარტო სისხლძარღვთა კედლებში,  
არამედ ამავე პაციენტების დერმის ანთებით ინფილტრატებშიც. ლეიკო-  
ციტოკლაზია ვერ აღმოვაჩინეთ მხოლოდ №5 პაციენტის პრეპარატებზე.  
სისხლძარღვთა ალტერაცია მთოფარგლებოდა პერივასკულარული ჰისტო-  
ლიმფოციტური ინფილტრაციით. არტერიოლების გარდა, ხშირად ადგილი  
ჰქონდა ვენულების კედლების ანთებით ინფილტრაციას. ყურადღებას  
იპყრობდა ის გარემოება, რომ, თითქმის როგორც წესი, მიკროსისხლ-  
ძარღვების კედლების ალტერაციას თან ახლდა სტაზი და ფორმიანი  
ელემენტების აგრეგაცია სანათურში (სურ. 1). ჰისტოლოგიური პრეპა-  
რატების დათვალიერების დროს, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ადგილი  
აქვს ენდოთელიოციტების გაჯირჯეებას და მათი ჩვეული ორიენტაციის  
დარღვევას. ამაზე მიუთითებდა მათი ბირთვების ვერტიკალური განლაგება


სანათურის მიმართ. ერთეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ეოზინოფილური ფიბრინული მასების ჩალაგებას კედლებში, მაგრამ არ აღინიშნებოდა სისხლძარღვთა კედლების ჰიალინოზი. ნეკრობიოზისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ცვლილებები ეპიდერმისშიც არ გამოვლენილა. ყველა პაციენტს დაზიანებულ უბნებში ჰქონდა მეტ-ნაკლებად გამოხატული აკანტოზი. აღინიშნებოდა ეპითელური გამონაზარდების და, შესაბამისად, დერმის დერილოვანი შრის დაგრძელება. განსაკუთრებით ნათლად ეს პროცესი გამოხატული იყო № 2 და № 3 პაციენტების კანში.



სურ. 1. HCV-ინფიცირებულის დაზიანებული კანი. ჰემატოქსილინ-ეოზინი. არტერიოლის კედლის პისტო-ლიმფოციტური ინფილტრაცია. x344.

ელექტრონ-მიკროსკოპულმა კვლევამ, ერთი მხვრივ, დაადასტურა სინათლის მიკროსკოპით მიღებული შედეგების აუტენტურობა, მეორე მხრივ გამოავლინა მიმდინარე პროცესებისათვის დამახასიათებელი გარკვეული დეტალები. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საცდელი ჯგუფის პაციენტების ჰემორაგიული გამონაყარის უბნებიდან აღებულ ბიოპტატებში თვალნათლივ ვლინდებოდა მიკროცირკულატორული კალაპოტის სისხლძარღვების ენდოთელური უჯრედების გარკვეული დესტრუქციული ცვლილებები. კერძოდ, შეიმჩნეოდა, სინათლის მიკროსკოპში შენიშნული, ენდოთელიოციტებში ბირთვების ორიენტაციის შეცვლის ტენდენცია. ხშირად ბირთვები, მიმდებარე ციტოპლაზმით, მეტ-ნაკლებად იჭრებოდნენ სისხლ-

ბარდვთა სანათურებში. აღინიშნებოდა ენდოთელიოციტების საკმაოდ გამოსატული ჰიპეროსმოლარობა. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანდა სისხლძარღვთა სხვა სტრუქტურული კომპონენტების, კერძოდ პერიციტების და გლუვკუნთოვანი უჯრედების ფონზე. ხშირად ადგილი ჰქონდა ენდოთელური უჯრედების ფოკალურ ნეკრობიოზს და ციტოპლაზმის, უპირატესად მარჯინალური მონაკვეთების, ფრაგმენტირებას. საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა ეკზოციტოზი, რასაც ციტოპლაზმის ნაწილების სანათურებში გადანაცვლების გარდა, ადასტურებდა იმავე სანათურში მიკროკლაზმატოზების არსებობა (სურ. 2). ენდოთელურ უჯრედებში, ჩვეულებრივზე უფრო მეტი რაოდენობით, ვლინდებოდა ორგანელები, კერძოდ, მიტოქონდრიები. ყურადღებას იქცევდა ორგანელების და კერძოდ მიტოქონდრიების დესტრუქცია. პრაქტიკულად არც ერთი მათგანი არ შეიცავდა კრისტებს და, უმეტეს შემთხვევაში, საერთოდ არ ვლინდებოდა შიგნითა მემბრანა. გარკვეული დესტრუქციული ცვლილებები ვითარდებოდა მიკროცირკულატორული კალაპოტის სისხლძარღვების სხვა უჯრედულ კომპონენტებშიც.



სურ. 2. HCV-ინფიცირებულის დაზიანებული კანი. მიკროსისხლძარღვის ენდოთელური უჯრედების სუსტად გამოხატული დესტრუქცია. x12000.

ცალკე უნდა გამოვეყთ მიკროსისხლძარღვების ენდოთელური უჯრედების ბირთვაკებში განვითარებული სტრუქტურული ცვლილებები. საკონტროლო ჯგუფის კანის ბიოპტატის ულტრასტრუქტურის შესწავ-

ლისას დადასტურდა, რომ პრაქტიკულად ყველა ენდოთელური უჯრედის ბირთვებში ვლინდებოდა რგოლისებრი ტიპის ბირთვაკები. ამ უჯრედების დიფერენცირების მაღალ ხარისხზე და დაბალ პროლიფერაციულ და მეტაბოლურ აქტივობაზე, რგოლისებრი ტიპის ბირთვაკების გარდა, მიუთითებდა კონდენსირებული ქრომატინის სიჭარბე, განსაკუთრებით ბირთვაკების მიმდებარე უბნებში, ორგანელების სიმცირე და პინოციტოზური ბუშტუკების შედარებითი სიმრავლე ციტოპლაზმაში. რგოლისებრი ბირთვაკებში ვლინდებოდა მხოლოდ ერთი ფიბრილარული ცენტრი. თითქმის როგორც წესი, ფიბრილარულ ცენტრებს ჰქონდათ სფერული ან ელიფსური ფორმა. ბირთვაკები ძალზე მცირე რაოდენობით შეიცავდნენ მკვრივ ფიბრილარულ კომპონენტს და რიბონუკლეოპროტეიდებს. საკონტროლო ჯგუფის პირებისაგან განსხვავებით, საცდელი ჯგუფის კანის დაზიანებული ადგილებიდან აღებული ბიოპტატების ულტრათხელანათლებზე საკმაოდ დიდი რაოდენობით ვლინდებოდა მიკროსისხლძარღვთა ენდოთელური უჯრედები, რომელთა ბირთვებს ჰქონდათ ნუკლეოლონემური შენების ბირთვაკები. ასეთი ენდოთელური უჯრედებისათვის დამახასიათებელია ოდნავ მოგრძო ფორმის ბირთვები, რომლებშიც აშკარად ჭარბობს დიფუზური ქრომატინი. ამ ენდოთელიოციტების ციტოპლაზმაში დიდი რაოდენობით ვლინდება ცილის სინთეზში აქტიურად მონაწილე ორგანელები, კერძოდ გრანულარული ენდოპლაზმური ბადე, პოლისომები და თავისუფალი რიბოსომები. აქტიური ენდოთელური უჯრედების მთავარი მახასიათებელი არის 3-4 მკმ დიამეტრის ნუკლეოლონემური შენების ბირთვაკები, რომლებიც შეიცავენ მრავალ ფიბრილარულ ცენტრს და მკვრივი ფიბრილარული კომპონენტის ჭიმებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მეტაბოლური და პროლიფერაციული აქტივობისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სუბსტრატის მქონე ენდოთელური უჯრედები გამოვლენილ იქნა HCV-ინფიცირებულთა კანის დაუზიანებელ უბნებშიც. მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე იმავე პირთა კანის დაზიანებულ უბნებში, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ენდოთელური უჯრედები თითქმის სრულიად არ ვლინდებოდა საკონტროლო ჯგუფის პირების ბიოპტატებში. საცდელი ჯგუფის დაუზიანებელ კანში გამოვლენილ ენდოთელურ უჯრედთა საკმაოდ დიდ ნაწილს თითქოს საშუალოდ მდგომარეობა ეჭირა ამავე ჯგუფის ჰემორაგიული გამონაყარის უბნებში გამოვლენილ და ჯანმრთელთა ენდოთელური უჯრედებს შორის. მათში ვლინდება ერთეული პინოციტოზური ბუშტუკები და მომატებული იყო ქრომატინის კონდენსაციის ხარისხი, განსაკუთრებით პერინუკლეარულად და მარცხნალოვრად, ბირთვის მემბრანის მიმდებარე უბნებში. რაც მთავარია, რიბონუკლეოპროტეიდების გრანულების შემცველობა და, განსაკუთრებით, ფიბრილარული ცენტრების რაოდენობა, იყო ნაკლები, ვიდრე ნუკლეოლონემური შენების ბირთვაკებში.


ენდოთელური უჯრედების აქტივაცია, სარწმუნოდ დაადასტურა AgNor-ცილებზე შედგების ელექტრონულმიკროსკოპული ციტოქიმიის მეთოდმა. საკონტროლო ჯგუფის პირების კანის მიკროსისხლძარღვების ენდოთელური უჯრედების ბირთვაკებში ვლინდებოდა ერთი მსხვილი Ag-დადგ-

ბითი ზონა. მათ, როგორც წესი, ჰქონდათ გლუვი ზედაპირი და არ წარმოქმნიდნენ გამონაზარდებს. ეს ზონები შეესაბამებოდა ელექტრონულ-მიკროსკოპიული კვლევისას გამოვლენილ რგოლისებრი ბირთვაკების ერთადერთ ფიბრილარულ ცენტრებს. აღსანიშნავია, რომ ამ ერთადერთ Ag-დადებით ზონას, ისევე როგორც ფიბრილარულ ცენტრებს, ჰქონდა სფერული ან ელიფსური ფორმა.


საცდელი ჯგუფის პაციენტების კანის ჰემორაგიული გამონაყარის უბნებიდან აღებულ პრეპარატებზე, არააქტიური ბირთვაკების მქონე ენდოთელური უჯრედების გარდა, დიდი რაოდენობით ვნახულობდით ენდოთელიოციტებს, რომელთა ბირთვაკებში ვლინდებოდა Ag-Nor ცილების განაწილების სრულიად განსხვავებული სურათი: მრავალრიცხოვანი, მცირე ზომების Ag-დადებითი ზონები წარმოქმნიდნენ ნუკლეოლონემური შენების შესატყვის ჯაჭვს (სურ. 3). ამ ჯაჭვებში გაერთიანებულია უამრავი ფიბრილარული ცენტრი და მკერვივი ფიბრილარული კომპონენტი. ბუნებრივია, სხვადასხვა ენდოთელური უჯრედების აქტიურ ბირთვაკებში და ერთი და იგივე ენდოთელიოციტების სხვადასხვა ბირთვაკებში Ag-დადებითი ზონების რაოდენობა ვარიირებდა. საკმაოდ ხშირად ვლინდებოდა ბირთვაკები, რომლებშიც Ag-დადებითი ზონების რაოდენობა და განაწილება, საშუალებას გვაძლევდა მიგვეკუთვნებინა ისინი შუალედური, ანუ გარდამავალი, ფორმებისათვის. ასეთი გარდამავალი ტიპის ბირთვაკებში ვლინდებოდა 2-7 Ag-დადებითი ზონა. რგოლისებრი ტიპის ბირთვაკების Ag-დადებითი ზონებისაგან განსხვავებით, ისინი წარმოქმნიდნენ გამონაზარდებს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საკონტროლო ჯგუფის ჯანმრთელი კანისა და HCV ინფიცირებული პირების, დაუზიანებელი უბნებიდან აღებული კანის ბიოპტატებს შორის განსხვავების გამოვლენა მოხერხდა მხოლოდ ელექტრონულ-მიკროსკოპიული ციტოქიმის მეთოდით. კერძოდ, ნორმალური კანისაგან განსხვავებით, საკმაოდ ბევრი ენდოთელური უჯრედის ბირთვაკში აღინიშნა Ag-დადებითი ზონების რიცხვის მატება. ასეთი ბირთვაკების უმრავლესობა მიეკუთვნებოდა გარდამავალ ტიპს. მათში ვლინდებოდა 3-7 Ag-დადებითი ზონა, რომლებიც, ნუკლეოლონემური ტიპისაგან განსხვავებით, არ არიან ურთიერთდაკავშირებული და არ ქმნიან ჯაჭვისმაგვარ სტრუქტურას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მათი ზედაპირი არ წარმოქმნის ისეთი დიდი რაოდენობის გამონაზარდებს, როგორც ნუკლეოლონემური შენების ბირთვაკებში, მაგრამ გაცილებით მეტს, ვიდრე რგოლისებრი ტიპის სტრუქტურებში. გარდა ამისა, გარდამავალი, ანუ შუალედური, ტიპის ბირთვაკებში Ag-დადებით ზონებს პრაქტიკულად არასდროს არ ჰქონდათ გლუვი, სფერული ფორმა (სურ. 4).

ჩვენი გამოკვლევის შედეგები გარკვეულად ადასტურებს [3] მოსაზრებას, რომ ვირუსის ენდოციტოზი შესაძლებელია მხოლოდ აქტივირებულ ენდოციტოციტებში. იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით, ნორმალურ ენდოთელურ უჯრედებში აღმოჩენილი HCV-ს ანტიგენი, ავტორთა [3] აზრით არის არტეფაქტი, რადგანაც in situ ჰიბრიდიზაციით, ნორმალურ

ენდოთელიოციტებში HCV ვერ იქნა იდენტიფიცირებული. ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტებს გაცილებით ნაკლებად აქვთ გამოხატული კანის დაზიანება, ვიდრე [3] მიერ შესწავლილ ავადმყოფებს. მხოლოდ ერთს, № 2 პაციენტს, ჰქონდა განმეორებითი ჰემორაგიული გამონაყარი. ამიტომ ის, რომ [3] კანის დაზიანებულ უბნებზე ვერ აღმოაჩინეს მიკროსისხლძარღვების და კერძოდ ენდოთელური უჯრედების რაიმე სტრუქტურული ცვლილებები, აიხსნება იმით, რომ მათ არ გამოუყენებიათ ელექტრონული მიკროსკოპია და, რაც მთავარია, ბირთვაკების AgNor-ცილებზე შედეგის მეთოდი. ამ მეთოდმა დაადასტურა, რომ HCV-ინფიცირებულთა ენდოთელურ უჯრედებში მნიშვნელოვნად მატულობს რიბოსომული გენების ტრანსკრიფცია და შესაბამისად პრერიბოსომული რნმ-ის პროცესინგის და პრერიბოსომების ციტოპლაზმაში ტრანსპორტირების ინტენსივობა. ეს პროცესი, მართალია ძალზე ნაკლებად, მაგრამ მაინც გამოხატულია HCV-ინფიცირებულთა დაუზიანებელი კანის მიკროსისხლძარღვების ენდოთელურ უჯრედებშიც.



სურ. 3. HCV-ინფიცირებულის დაზიანებული კანი. დიდი რაოდენობის, ურთიერთდაკავშირებული Ag-დადებითი ზონები ენდოთელური უჯრედის ბირთვაკში. x36000.



სურ. 4. HCV-ინფიცირებულის დაუზიანებელი კანი. რამოდენიმე, უსწორმასწორო ზედაპირის მქონე, Ag-დადებითი ზონა ენდოთელური უჯრედის ბირთვაკში. x36000.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ HCV-ინფიცირებულ პირებში კანის ჰემორაგიული გამონაყარი არის ძირითადად ლეიკოციტოკლასტიური ვასკულიტის შედეგი, რომელსაც განაპირობებს ენდოთელური უჯრედების მნიშვნელოვანი აქტივაცია. ეს პროცესი დაწყებულია HCV-ინფიცირებულთა დაუზიანებელი კანის მიკროსისხლძარღვთა ენდოთელურ უჯრედებშიც. სავარაუდოა, რომ მათი აქტივაციის ხარისხი არ არის საკმარისი ვასკულიტის განვითარებისათვის.

## ლიტერატურა

1. ქართველიშვილი ე., ლორთქიფანიძე მ., ასტვაცატუროვა ტ., აღაბიშვილი ნ., ვაშაკიძე ე. საქართველოს რევმატოლოგთა III კონგრესის მასალები, 2001, 69-70.
2. Насонов Е.Л. В кн.: Васкулиты и васкулопатии. Ярославль, "Верхняя волга", 1999, 447-458.
3. Agnello V., Abel G. Arthritis & Rheumatism, 1997, 40, 2007-2015.
4. Jendro M.C., Hulsemann. J.L., Zeidler H. Z. Rheumatol., 1997, 56, 276-286.
5. Zatschina O.V., Novak J., Smetana K., Schwarzacher H.G., Wachtler F. Microscopie, 1984, 41, 278-284.

## КРОВЕНОСНЫЕ СОСУДЫ КОЖИ ПРИ ГЕМОРРАГИЧЕСКИХ ВЫСЫПАНИЯХ У ИНФИЦИРОВАННЫХ ВИРУСОМ ГЕПАТИТА С

*М.Т. Лорткиანიძე*

Научно-практический центр ревматологии им. В.Г. Цитланидзе, Тбилиси.

### РЕЗЮМЕ

У 4-х из 5 HCV-инфицированных, в участках кожи с геморрагическими высыпаниями, выявлен лейкоцитокластический васкулит. У одного были только малочисленные петехии и альтерация ограничивалась периваскулярной инфильтрацией. У всех в пораженных участках кожи обнаруживались более или менее выраженные ультраструктурные признаки значительной активации эндотелиоцитов, что подтвердилось содержанием и характером распределения AgNor-белков в их ядрышках (электронно-микроскопическая цитохимия). Слабо выраженные признаки активации эндотелиальных клеток выявлены и в некоторых микрососудах из неповрежденных участков кожи.

## SKIN BLOOD VESSELS DURING HEMORRHAGE RASHES IN PATIENTS WITH HEPATITIS C VIRUS

*M. Lortkipanidze*

V. Tsitlanadze Rheumatology Scientific-Practical Center, Tbilisi

### SUMMARY

The leukocytoclastic vasculitis was found in 4 out of 5 HCV infected patients on the parts of the skin with hemorrhage rashes, one had only few petechias and alteration was limited to perivascular infiltration. More or less expressed signs of considerable activation of endotheliocytes were found in cutaneous lesions in all of them. That was confirmed by matter and by nature of distribution of AgNor-proteins in their nucleoli. The poorly expressed signs of activation of endothelial cells were revealed in some micro-vessels from undamaged parts of the skin.

## HLA-A-B ГАПЛОТИПЫ И ЯЗВЕННАЯ БОЛЕЗНЬ ДВЕНАДЦАТИПЕРСТНОЙ КИШКИ В ГРУЗИНСКОЙ ПОПУЛЯЦИИ

*М. В. Махатадзе, Э. Я. Нацашвили, И. И. Гильгендорф*

Национальный центр экспериментальной и клинической хирургии им. акад. К.Д. Эристави, Тбилиси

Поступила 14.05.2002

В грузинской популяции носительство HLA-гаплотипа A1-B8, предположительно, может служить иммуногенетическим маркером язвенной болезни двенадцатиперстной кишки. Сказанное подтверждается существенным повышением частоты регистрации данного HLA-гаплотипа у пациентов в сравнении с практически здоровыми лицами, достоверностью показателя риска развития заболевания, а также положительным значением величины гаметной ассоциации.

**Ключевые слова:** иммуногенетика, HLA-A-B гаплотипы, язвенная болезнь двенадцатиперстной кишки

Проблема язвенной болезни желудка и двенадцатиперстной кишки продолжает привлекать к себе внимание клиницистов и ученых, поскольку и сегодня эта проблема является одной из центральных в гастроэнтерологии [1, 6, 9]. Причем, современный этап развития учения о язвенной болезни характеризуется активацией исследований состояния иммунного статуса больных, а также иммуногенетических аспектов патологии [2, 8, 10, 11].

Целью настоящего исследования являлось выявление ассоциативных связей между язвенной болезнью двенадцатиперстной кишки (ЯБДК) и HLA-A-B гаплотипами в грузинской популяции.

### МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Работа носила популяционный характер (смешанная грузинская группа). Обследовано 74 больных с, подтвержденным в отделении гастроэнтерологии НИИ экспериментальной и клинической хирургии им. акад. К.Д. Эристави, диагнозом ЯБДК. Контрольную группу составили 492 практически здоровых лица (ПЗЛ) (смешанная грузинская группа), обследованных в НИИ гематологии и переливания крови им. акад. Т.М. Мухадзе [5]. Больные и ПЗЛ не состояли в кровном родстве.



Study of the material after the conventional treatment has shown that the nuclei remained to be repressed. A large perinuclear halo has been observed; vacuoles have been revealed in the cytoplasm. A large perinuclear halo has been noted. The cytoplasm was strongly vacuolized while the area of heterochromatin in the nucleus decreased. A large nucleolus has been noted. The cytoplasm was dark. There were a great number of large mitochondria there. Granular endoplasmic reticulum has appeared. Golgi apparatus was not large.

On the basis of analysis of the data obtained it should be noted that changes in red blood cells as well as in white ones, especially in thrombocytes have been revealed. These changes have been kept even after the treatment. As is known treatment has been carried on using conventional method. Then the material was investigated after the treatment.

It should be repeated that as our investigations have shown, structural indices of the material taken after the treatment did not correspond to the norm in any of above-mentioned groups. The treatment seemed to be a palliative measure. In all cases it was directed to dissociation of functions between the nucleus and the cytoplasm. i.e. to disturbance of nuclear-cytoplasm relations (NCR). This was achieved by different ways. During routine therapy it was concerned with repression of the nucleus, the increase of chromatin dispersion and the growth of cyclosis in the cytoplasm matrix as well as with the appearance of a large perinuclear halo.

## REFERENCES

1. *Галактионов В.Г.* Иммунология, 1993, 7, 18-27.
2. *Манько В.М.* Биохимия, 1992, 5, 398-408.
3. *Fudenberg H.H.* Basic immunogenetics. NY, 1997.
4. *Mozes E. J.* Immunol., 1998, 1, 18-27.
5. *Sell S.* Immunology, immunopathology and immunity. N.Y., 1990.
6. *Unanue E.R. J.* Advan. Immunol., 1992, 10, 98-120.

## სისხლის უჯრედების მორფოლოგიის თავისებურებანი ტუბერკულოზის დროს

*ვ. ხეჩინაშვილი, ვ. ვოლობუევი, ნ. ხეიტია*

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

### რეზიუმე

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, მკურნალობის შემდეგ მიღებული მასალის სტრუქტურული მახეუნებლები არ შეესაბამება ნორმას. როგორც ჩანს, მკურნალობა მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს. ყველა შემთხვევაში იგი მიმართული იყო ბირთვსა და ციტოპლაზმას შორის ფუნქციების დისოციაციაცზე, ე.ი. ბირთვ-ციტოპლაზმური ურთიერთობის დარღვევის კორექციაცზე რუტინული თერაპიის დროს იგი დაკავშირებული იყო ბირთვის აქტივობასთან და ციტოპლაზმის მატრიქსში ციკლოზის გაზრდასთან, აგრეთვე ენდოპლაზმური რეტიკულუმის მომატებასთან.

## ОСОБЕННОСТИ МОРФОЛОГИИ КРОВЯНЫХ КЛЕТОК ПРИ ТУБЕРКУЛЕЗЕ

*Г. Хечинашвили, В. Волобуев, Н. Хвития*

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Как показали наши исследования, структурные показатели материала, взятого после проведения лечения, не соответствовали норме. Как видно, лечение требовало длительного периода. Во всех случаях оно было направлено на диссоциацию функций между ядром и цитоплазмой, т.е. на коррекцию ядерно-цитоплазматических отношений. При рутинной терапии оно было связано с активностью ядра и увеличением циклоза в матриксе цитоплазмы, а также с увеличением эндоплазматического ретикулула.



საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. ა, 2002, ტ. 28, № 3-4.

ISSN-0321-1665

Известия АН Грузии, сер. биол. А, 2002, т. 28, № 3-4.

Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2002, vol. 28, No 3-4.

## СТРУКТУРНО-ЦИТОХИМИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ФОРМЕННЫХ ЭЛЕМЕНТОВ КРОВИ БОЛЬНЫХ ТУБЕРКУЛЕЗОМ ДО И ПОСЛЕ ПРОВЕДЕННОГО ЛЕЧЕНИЯ

*Н. Хвития*

Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

Поступила 8.04.2002

Следует отметить, что болезнетворность туберкулезной палочки связана не с прямым повреждением тканей бактериями, а с длительным их выживанием в организме. Микобактерия туберкулеза проникает в организм в составе мелкодисперстных аэрозолей. Бактерия должна попасть в альвеолы. В альвеолах палочки поглощаются макрофагами, взаимоотношение с которыми определяет длительный ход событий. Туберкулез относится к внутримacroфагальным инфекциям, а потому отдельные авторы называют его “болезнью макрофагов”.

**Ключевые слова:** микобактерия, лейкоциты, защита

На сегодня туберкулез легких является одной из тяжелейших проблем среди терапевтических заболеваний. Сказанное подтверждается частотой его распространения, эпидемиологической особенностью, появлением L-форм, омоложением, растущей трудностью в лечении и профилактике. Изучение туберкулеза с позиции структурно-функциональных показателей заболевания на клеточном и субклеточном уровнях с учетом ряда генетических факторов, представляет собой тему, заслуживающую интерес исследователя. Актуальность ее определяется эпидемиологическим подходом к проблеме с позиции функциональной морфологии и учетом клинических и генетических факторов. Подобный подход даст возможность ближе подойти к этиопатогенезу заболевания [5].

В работе изучены форменные элементы крови на клеточном и субклеточном уровнях у больных острой формой туберкулеза до лечения и во время лечения, при этом учитывался генетический фактор индивида. Цифровые данные обработаны статистически. Обследовано 130 больных. Материал изучался методом световой и электронной микроскопии, а также методом морфометрии. Часть материала была подвергнута гистохимической обработке для изучения гликогена, ДНК и РНК. В качестве контрольного материала аналогичными методами исследована кровь донора – практически здоровых людей. Здесь исследование охватывало 10 человек. Кровь бралась из пальца для световой микроскопии и из вены – для электронной.

Как показали данные, отмечается различная заинтересованность со стороны форменных элементов крови. Были проведены самостоятельные наблюдения с целью изучения иммунологических показателей. Данные работы направлены на объяснение случаев рецидива и определение группы риска. Именно в этом и заключается практическая значимость данного исследования. Сказанное должно помочь врачам-клиницистам в варьировании методов лечения. Известно, что полного выздоровления от туберкулезной инфекции не бывает. Возбудитель сохраняет жизнеспособность и потенциальную агрессивность даже в законсервированных гранулемах. Латентность туберкулезной палочки связана с ее широкой способностью к адаптивной изменчивости. Это понятие некоторым образом стыкуется с существующими представлениями об атипичных вариантах микобактерий туберкулеза. Здесь важную роль должна играть плазматическая мембрана [1]. Именно ее функциональные изменения могут приводить к реактивации туберкулезной инфекции. Этому явлению способствуют истощение организма, хронические воспаления, диабет и т.д. Сказанное может быть объединено в одно понятие – снижается резистентность организма, т.е.ослабляются его защитные функции. Именно при нарушении иммунитета повышается склонность к заболеванию туберкулезом. Однако здесь следует учитывать не только состояние общего иммунитета, но и резистентность самого легкого [4]. Возбудитель сохраняет свою активность в организме хозяина без использования его гомеостатических ресурсов. Туберкулезная инфекция является перманентным источником, который постоянно влияет “тонизирующе” на иммунитет. Отсюда возникает впечатление, что механизм, который предназначен для сдерживания инфекции, сам провоцирует реанимацию возбудителя. В этом плане весьма важная роль принадлежит физическим и социальным факторам, которые влияют на развитие туберкулеза.

Вышесказанное указывает на значение генетической предрасположенности к туберкулезу. Если существуют случаи с высокой резистентностью к возбудителям туберкулеза, то одновременно существует и противоположная зависимость. Наблюдения указывают на существование гипорезистентности к возбудителю туберкулеза. Последнее, главным образом, отмечается у лиц с избирательным иммунодефицитом.

Статистические данные показывают, что из массы зараженных туберкулезом людей заболевают не многие. Туберкулезная палочка обладает мощным иммуноадаьювантным эффектом, который целой группой авторов связывался с липидными фракциями, однако в дальнейшем позиции исследователей смещаются в сторону пептидогликанов. Именно туберкулезная инфекция связана с одной из разновидностей аллергии, в частности, с гиперчувствительностью замедленного типа. В этом плане иммунное усиление гранулематозной реакции, направленное на подавление туберкулезной инфекции, может быть связано с сенсибилизированными Т-лимфоцитами. Т-клетки сильнее нацелены на прямое уничтожение антигена [2]. На сегодня исследования показывают, что имеет место функциональная недостаточность Т-лимфоцитов. Вышесказанное дает возможность отнести туберкулез к таким иммунологическим патологиям, возбудители которых не обладают достаточным арсеналом прямых деструктивных начал, поддерживают болезнь за счет конфликта с эффекторами иммунитета [3]. Именно в Т-лимфоцитах

содержится специфический белок, который действует на липиды клеточной стенки микобактерий туберкулеза и убивает ее. Именно Т-лимфоцитами регулируется процесс фагоцитоза и лизиса микобактерий. Рост числа Т-супрессоров в проведенных нами исследованиях приводит к угнетению и снижению Т-хелперов. Все это может привести к явлению анергии, обуславливающей прогрессирующее туберкулезное состояние.

Отсюда следует, что болезнетворность туберкулезной палочки связана не с прямым повреждением тканей бактериями, а с длительным их выживанием в организме. Микобактерия туберкулеза проникает в организм в составе мелкодисперстных аэрозолей. Бактерия должна попасть в альвеолы. В альвеолах палочки поглощаются макрофагами, взаимоотношение с которыми определяет длительный ход событий. Отсюда, туберкулез относится к внутримакрофагальным инфекциям, а потому отдельные авторы называют его “болезнью макрофагов”.

## ЛИТЕРАТУРА

1. *Mappi P.* Биохимия человека. М., 1998.
2. *Hess N.* Hematology. Baltimore, 1999.
3. *Hyde R.* Immunology. Philadelphia, 1998.
4. *Kesler A.B.* Textbook of Histology. N.Y., 1990.
5. *Tortora G.* Microbiology. N.Y., 1990.

## სისხლის ფორმის ელემენტების სტრუქტურულ-ციტოქიმიური თავისებურებანი ტუბერკულოზით დაავადებულებში მკურნალობამდე და ჩატარებული მკურნალობის შემდეგ

*ნ. ხვიციანი*

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

### რეზიუმე

უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზის ჩხირის პათოგენობა დაკავშირებულია არა ქსოვილის პირდაპირ დაზიანებასთან, არამედ ორგანიზმში მათ ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობასთან. ტუბერკულოზის ჩხირი ორგანიზმში აღწევს წერილად დისპერსული აეროზოლის შემადგენლობაში. ბაქტერიამ უნდა მიადწიოს აღფეულას. აღფეულებში ბაქტერიები შთანთქმდება მაკროფაგებით, რომლებთანაც ურთიერთობით განისაზღვრება მოვლენათა ხანგრძლივი მიმდინარეობა. ტუბერკულოზი მიეკუთვნება შიდამაკროფაგურ ინფექციებს. ამიტომ ზოგი ავტორი მას “მაკროფაგების დაავადებას” უწოდებს.

## STRUCTURAL-CYTOCHEMICAL PECULIARITIES OF BLOOD CELLS OF THE PATIENTS WITH TUBERCULOSIS BEFORE- AND AFTER THE TREATMENT

*N. Khvitia*

State Medical Academy of Georgia, Tbilisi

### SUMMARY

It should be mentioned that pathogenicity of *Mycobacterium tuberculosis* is connected not to direct damage of tissues by bacteria but by their prolonged survival in the organism. *Mycobacterium tuberculosis* penetrates into the organism in the content of small-dispersed sprays. The bacterium must get into the alveolus. In the alveoli bacilli are absorbed by macrophages, the relationship, which determines a prolonged duration of the events. Tuberculosis is attributed to intermacrophage infections and therefore some authors call it "the disease of macrophages".

## ასკორბინის მჟავასა და პროპილგალატის გავლენა ხილული სინათლით დასნივებულ CANDIDA UTILIS უჯრედების გადარჩენაზე

*ნ. ვულაყიძე, თ. ბურჭულაძე, მ. შენგელაი, მ. ვახვა, ბ. ლომსაძე*  
ო. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 25.03.2002

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიკროორგანიზმებში ხილული სინათლით გამოწვეული ლეტალური პროცესები მიმდინარეობს ფოტოდინამიკური მექანიზმებით. ხილული სინათლით დასნივებისას მემბრანებში ინიცირდება ჟანგვითი პროცესები. ამასთან, მემბრანული ცილები ზიანდება ამინოჟანგვითი ნაშთების ჟანგვის შედეგად, ხოლო ლიპიდები – უჯერი ცხიმოვანი მჟავების ფოტოდაჟანგვის ხარჯზე. მოცემულ ნაშრომში მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საფუარის უჯრედების ინაქტივაციაში მემბრანებში მიმდინარე ჟანგვითი პროცესების როლი. საკვლევ თიექტად ავირჩიეთ *Candida utilis*. საფუარების პროტოპლასტების სუსპენზიას ვასხივებდით ხილული სინათლის სხვადასხვა დოზებით. *C. utilis* უჯრედების ინაქტივაციაში ჟანგვითი პროცესების როლის გამოსაკვლევად გამოვიყენეთ ანტიოქსიდანტები – პროპილგალატი და ასკორბინის მჟავა.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით დავადგინეთ კავშირი ხილული სინათლით საფუარის უჯრედების დასხივებით გამოწვეულ ლეტალურ ეფექტებსა და მემბრანული ლიპიდების ჟანგვას შორის. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უჯრედის ინაქტივაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მემბრანების ქიმიური დაზიანება. ანტიოქსიდანტების შესწავლისას მიღებული შედეგები მიუთითებს ხილული სინათლით უჯრედების ინაქტივაციაში ჟანგვითი პროცესების მნიშვნელოვან როლზე.

გამოვლენილია ასკორბინის მჟავასა და პროპილგალატის დამცველობითი მოქმედების კონცენტრაციული ხასიათი, რასაც შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელოვანი როლი უჯრედების ფოტოდაცვის მეთოდების შემუშავებისათვის და სიმსინეების ფოტორადიაციული თერაპიისათვის.

საკვანძო სიტყვები: ხილული სინათლე, ანტიოქსიდანტები, საფუარის უჯრედები, მემბრანული ლიპიდები, ფოტოდინამიკური პროცესები

ხილული სინათლე წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ეკოლოგიურ ფაქტორს, ამიტომ მისი ლეტალური მოქმედების ახსნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიკროორგანიზმებში ლეტალური პროცესები მიმდინარეობს ფოტოდინამიკური მექანიზმებით [9]. მემბრანებში ფოტოდესტრუქციული პროცესები გამოწვეულია ცილებისა და ლიპიდების მოლეკულების დაზიანებით [3]. ხილული სინათლით დასხივება იწვევს მემბრანებში ჟანგვითი პროცესების ინიციაციას [4, 8]. ლიპიდები ზიანდება ძირითადად უჯერი ცხიმოვანი მჟავების ფოტოდაჟანგვის ხარჯზე, ხოლო ცილები – ამინმჟავური ნაშთების ჟანგვის შედეგად, რასაც მოსდევს პოლიპეპტიდურ ჯაჭვებს შორის გაკერვის წარმოქმნა [6, 7]. შესაძლოა ასეთი ფოტოდესტრუქციული პროცესები მიმდინარეობს საფუარის უჯრედებშიც. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა საფუარის უჯრედების ინაქტივაციაში მემბრანაში მიმდინარე პროცესების როლი.

## მასალა და მეთოდები


საკვლევი ობიექტად ავირჩიეთ საფუარი *Candida utilis*. პროტოპლასტების მისაღებად კულტურას ვზრდიდით სტანდარტული სქემით [5]. პროტოპლასტებს ვიღებდით აკიმენკოს მეთოდით [1]. ხილული სინათლით პროტოპლასტების დასასხივებლად ვიყენებდით ხელსაწყო ЛОС-2-ს. ობიექტს ვათავსებდით ხელსაწყოს გამოსავალი ღინზიდან 20 სმ-ის მოშორებით. 200 ნმ-ზე მეტი ტალღის სიგრძის სპექტრულ არეს გამოვყოფდით ЖС-10 შუქფილტრით. მონოქრომატულ სხივს ვიღებდით ინტერფერენტული შუქფილტრების მეშვეობით. სინათლის ინტენსივობას ვზომავდით მიკროვოლტნანომეტრით.

## შედეგები და მათი განხილვა

საფუარების პროტოპლასტების სუსპენზიას ვასხივებდით სხვადასხვა დოზით და ვსაზღვრავდით წარმოქმნილი მალონის დიალდეჰიდის (მდა) რაოდენობას, რომელიც, როგორც ლიტერატურიდანაც ცნობილი, ლიპიდების ჟანგვის შუალედური პროდუქტია და არის 2-თიობარბიტურის მჟავას აქტიური პროდუქტი. ის ხასიათდება მაღალი რეაქციისუნარიანობით, რეაქციაში შედის ახლომდებარე ცილების ან ლიპიდების პოლარული თავების ამინჯგუფებთან და წარმოქმნის ფლუორესცირებად შივის ფუძეებს [10].

პირველ სურათზე (სურ. 1) გამოსახულია საფუარის უჯრედულ მემბრანებში მდა-ს დაგროვების დამოკიდებულება ხილული სინათლით დასხივების დოზაზე. როგორც სურათიდან ჩანს, ინტაქტურ უჯრედებში ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აღრიცხვა ვერ მოხერხდა, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ინტაქტურ უჯრედებში ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვა ძალიან დაბალ დონეზე მიმდინარეობს, ან შესაძლოა მათში არსებობს აქტიური ანტიდამჟანგველი სისტემები, რომელთა რაოდენობა დასხივებისას ექსპოზიციის დოზის ზრდასთან ერთად იზრდება. დასხივებული საფუარის უჯრედების პროტოპლასტების სიბნელეში მოთავსებისას ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესი წყდება. ეს ფაქტი მოწმობს, რომ

საფუარის უჯრედების მემბრანებზე უჯერი ცხიმოვანი მუკების უანგვა თავისუფალრადიკალური მექანიზმით არ მიმდინარეობს.




სურ. 1. მემბრანებში მშა-ს დაგროვების დამოკიდებულება საფუარის უჯრედების პროტოპლასტების ხილული სინათლით დასხივების დოზაზე

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *C. utilis*-ის უჯრედების ინაქტივაციაში უანგვითი პროცესების როლის დასადგენად გამოვიყენეთ წყალში ხსნადი ანტიოქსიდანტები – პროპილგალატი და ასკორბინის მუკავა.

ცდებს ვატარებდით შემდეგი სქემით: საფუარებს ვზრდიდით სანჯღრეველაზე პროპილგალატისა და ასკორბინის მუკავას სხვადასხვა კონცენტრაციების შემცველ თხევად საკვებ არეში, 6 სთ-ის განმავლობაში 30 °C-ზე. შემდეგ საფუარების 5-5 მლ სუსპენზიას (კონცენტრაცია 10<sup>8</sup> უჯრ/მლ) ვაცენტრიფუგირებდით 6000 ბრ/წთ 5 წთ-ის განმავლობაში. ნალექს ვანსავებდით მინერალური არით 10·10<sup>6</sup> უჯრ/მლ კონცენტრაციამდე და ვასხივებდით.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ პროპილგალატი ან ასკორბინის მუკავა გარკვეულ პირობებში, ხილული სინათლით გამოწვეული ლეტალური ეფექტებისაგან დაცვის უნარს ავლენენ. ამასთან, ამ ორი ნაერთის დამცველი მოქმედების მექანიზმი ერთმანეთისაგან განსხვავებულია და მას კონცენტრაციული ხასიათი აქვს. მაგალითად, პროპილგალატის დამცველი მოქმედება (სურ. 2) ვლინდება დაბალ კონცენტრაციაზე და კონცენტრაციის ზრდასთან ერთად ეს უნარი მცირდება. მაღალი კონცენტრაციების დროს (10<sup>-3</sup>, 10<sup>-2</sup>) ძლიერდება უჯრედის დაღუპვა. ასკორბინის მუკავას დამცველი მოქმედება ვლინდება მაღალი კონცენტრაციებისას (10<sup>-2</sup>, 10<sup>-1</sup>). გადარჩენის დოზური მრუდების საფუძველზე (სურ. 2 და 3) შევავსეთ დამცველობით ეფექტსა და ანტიოქსიდანტის კონცენტრაციებს შორის დამოკიდებულების ბუნება.



სურ. 2. ხილული სინათლით დასხივებული საფუარის უჯრედების გადარჩენის მრუდები საზრდელ არეში პროპილგალატის სხვადასხვა კონცენტრაციის დამატებისას. K-პროპილგალატის დამატების გარეშე


შეფასებისათვის გამოვიყენეთ დოზის ცვლილების ფაქტორის სიდიდე (ღცმ), რომელსაც ვსაზღვრავდით იმ დოზების თანაფარდობით, რომლებიც ამცირებდა გადარჩენას 37%-მდე ანტიოქსიდანტების თანაობისას და მათ გარეშე (37 ცდა/37 კონტ.). მე-4 და მე-5 სურათზე მოყვანილია ამ ხერხით განსაზღვრული ღცმ სიდიდეები.

მემბრანების ფოტოსენსიბილიზებული დაზიანების შესუსტების ან გაძლიერების ზემოაღნიშნულ ხერხს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება უჯრედების ფოტოდაცვის მეთოდების შემუშავებისათვის და სიმსივნეების ფოტორადიაციული თერაპიისათვის.


ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით დავადგინეთ კავშირი ხილული სინათლით საფუარის უჯრედების დასხივებით გამოწვეულ ლეტალურ ეფექტებსა და მემბრანული ლიპიდების ჟანგვას შორის. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უჯრედის ინაქტივაციის ერთ-ერთი მთავარი




მიზეზია მემბრანების ფოტოქიმიური დაზიანება. ანტიოქსიდანტების შესწავლისას მიღებული შედეგები მიუთითებს ხილული სინათლით უჯრედების ინაქტივაციაში ჟანგვითი პროცესების მნიშვნელოვან როლზე.



სურ. 3. ხილული სინათლით დასხივებული უჯრედების გადარჩენის მრუდები საზრდელ არეში ასკორბინის მჟავას სხვადასხვა კონცენტრაციის დამატებისას. K-ასკორბინის მჟავას დამატების გარეშე.



სურ. 4. დოზის ცვლილების ფაქტორის სიდიდის დამოკიდებულება საზრდელ არეში პროპილგალატის კონცენტრაციაზე.



სურ. 5. დოზის ცვლილებების ფაქტორის სიდიდის დამოკიდებულება საზრდელ არეში ასკორბინის მჟავას კონცენტრაციაზე.

ასევე დავადგინეთ, რომ ანტიოქსიდანტები გარკვეულ კანონზომიერებისას ავლენენ დამცველობით ეფექტს ხილული სინათლის ლეტალური მოქმედების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ სტადიების თანმიმდევრობა, რომლებიც იწვევენ უჯრედების ინაქტივაციას, შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით.

სენსიბილიზატორის თანაობისას სინათლის ზემოქმედება მიმართულია უჯრედის იმ კომპონენტებისაკენ, რომელშიც სენსიბილიზატორია ლოკალიზებული. უჯრედების მემბრანაში არსებული ენდოგენური სენსიბილიზატორი ხილული სინათლის მოქმედებისას აღიზნება და გენერირდება სინგლეტური ჟანგბადი. ეს უკანასკნელი დასაბამს აძლევს ჟანგვით პროცესებს უშუალოდ წარმოქმნის ადგილთან ახლოს. კერძოდ, წარმოებს მემბრანული ცილების და ლიპიდების დაჟანგვა, ირღვევა განვლადობა, მცირდება ბარიერული თვისებები და იხშობა მემბრანებთან დაკავშირებული ფერმენტებისა და ტრანსპორტული სისტემების აქტივობა.

მიგვაჩნია, რომ ფოტოდაზიანების მიმართ უჯრედული მემბრანის სტრუქტურების მაღალი მგრძობელობა აიხსნება იმით, რომ ფოტოლინამიკური ეფექტების ძირითადი ტოქსიკური აგენტი – სინგლეტური ჟანგბადი ჰიდროფობურ არეში უფრო მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობას ავლენს, ვიდრე წყალხსნარში.

## ლიტერატურა

1. *Акименко В.К., Меденцев А.Ф., Дмитриев В.В.* Микробиология, 1975, 14, 122-125.

2. *Владимиров Ю.А., Арчаков А.И. М.*, "Наука", 1972, 252.
3. *Чебрицкий Е.А., Воробей А.В.* В кн.: Молекулярные механизмы биологического действия оптического излучения. М. "Наука", 1988, 102-111.
4. *Cadet, J., Berger M., Decarroz C., Wagner J.R., Van Lier J.E., Ginot Y.M., Vigny P.* Biochimie, 1986, 68, 813-834
5. *Fraikin G.Y., Pospelov M.E., Rubin L.B.* Photochem, Photobiol., 1977, 26, 371-375.
6. *Girotti A.W.* Biochemistry, 1979, 18, 20, 4403-4411.
7. *Goldstein B.D., Herber L.C.* J. Clin. Invest., 1972, 51, 892-901.
8. *Grachem R.K.* J. Inst. Brow., 1970, 76, 16-23.
9. *Moan J., Peak M. J.* Journal of Photochemistry and Photobiology, B: Biology, 1989, 4, 21-34.
10. *Yonei S., Furui H.* Mutation Research, 1981, 88, 23-32.

## ВЛИЯНИЕ АСКОРБИНОВОЙ КИСЛОТЫ И ПРОПИЛГАЛАТА НА ВЫЖИВАЕМОСТЬ ОБЛУЧЕННЫХ ВИДИМЫМ СВЕТОМ КЛЕТОК CANDIDA UTILIS

*Н. Джулакидзе, Т. Бурчуладзе, М. Шенгелия, М. Гачава, Б. Ломсадзе*

Тбилисский государственный Университет им. И. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Из литературных данных известно, что летальные процессы в микроорганизмах, вызванные видимым светом, протекают по фотодинамическим механизмам. При облучении видимым светом, в мембранах инициируются окислительные процессы. Мембранные белки повреждаются вследствие окисления аминокислотных остатков, а липиды – за счет фотоокисления ненасыщенных жирных кислот.

В данной работе мы поставили целью изучить роль мембранных процессов в инактивации дрожжевых клеток.

В качестве изучаемого объекта использовали дрожжи *Candida utilis*. Суспензию про-топластов дрожжей облучали разными дозами видимого света.

В проведенных экспериментах мы установили связь между летальным эффектом, вызванным облучением дрожжевых клеток видимым светом и окислением мембранных липидов, а это дает возможность предполагать, что главная причина инактивации клеток это фотохимическое повреждение мембран. Полученные данные указывают на значительную роль окислительных процессов в инактивации клеток видимым светом.

Выявлен концентрационный характер защитного действия аскорбиновой кислоты и пропилгалата, что может иметь значительную роль в отработке методов фотозащиты клеток и фоторадиационной терапии.

## THE EFFECT OF ASCORBIC ACID AND PROPILGALATE ON THE SURVIVAL OF *CANDIDA UTILIS* CELLS IRRADIATED WITH VISIBLE LIGHT

*N. Julakidze, T. Burchuladze, M. Shengelia, M. Gachava, B. Lomsadze*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

The latest investigations have revealed that lethal processes in microorganisms have photodynamic character. Visible light irradiation induces initiation of oxidation processes in the biological membranes. It is suggested that destruction of the protein molecules is the result of oxidation of amino acid residues and that of lipids – of photooxidation of unsaturated fatty acids.

According to the current views the main goal of our investigation was the analysis of the role of oxidation processes in biological membranes on the inactivation of yeast cells.

*Candida utilis* was used in our experiments. Yeast protoplasts were irradiated with visible light. In order to determine the role of oxidation processes in *C.utilis* cells inactivation were employed water soluble antioxidants – propilgalate and ascorbic acid.

From the data obtained in our experiments, relationship between lethal effect of visible light on yeast cells and membrane lipid peroxidation was established. Proposal has been made that photochemical damage of membrane could be one of the main reason for the cell inactivation. Oxidation processes play significant role in visible light irradiated cell inactivation.

The data obtained demonstrate that propilgalate, as well as ascorbic acid protect the cells against lethal effect of visible irradiation. Meanwhile, protective effects of these substances have different character.

## ჟანგბადის აქტიური ფორმების ინჰიბიტორებისა და ჩამოშობების როლი ბრექტალღიანი ულტრაიისფერი სინათლით დასხივებისას პლაზმიდურ ღმ-ს პრეპარატივად გახლეჩების დათრგუნვაში

*ნ. ჯულაყიძე, თ. ბურჭულაძე, მ. შენგელია, მ. გაჩავა, ბ. ლომსაძე*

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 25.03.2002

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიკროორგანიზმები მათზე გრძელვადიანი ულტრაიისფერი (320-400 ნმ) გამოსხივების მოქმედების შედეგად ილუპებიან და დაღუპვა ძირითადად განპირობებულია ღმ-ს დაზიანებით. ღმ-ს დაზიანების პროცესი რთულია. იგი ვითარდება არაპირდაპირი ფოტოლინამიკური მექანიზმით, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა უჯრედშიგა სენსიბილიზატორი, სახელობრ, 4-თიოურიდინი, რიბოფლავინი, NAD-H და სხვა.

საინტერესოა მონაცემები, რომლებიც ასაბუთებს, რომ ბირთვული NAD-H საფუერის უჯრედების ინაქტივაციის პროცესში ასრულებს ენდოგენური სენსიბილიზატორის ფუნქციას, იწვევს სუპეროქსიდანიონრადიკალის ( $O_2^-$ ) ფოტოგენერაციას, რომელიც ხასიათდება სუსტი რეაქციისუნარიანობით. აქედან გამომდინარე, ღმ-ს დაზიანებას უნდა იწვევდეს ჟანგბადის სხვა აქტიური ფორმები: სინგლეტური ჟანგბადი ( $O_2$ ), წყალბადის ზეჟანგი ( $H_2O_2$ ) და ჰიდროქსიდის რადიკალი ( $OH$ ), რომელიც წარმოიქმნება  $H_2O_2$ -დან ხაბერევისის რეაქციაში, რომელთა რეაქციისუნარიანობა  $O_2^-$ -თან შედარებით უფრო მაღალია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო შეგვესწავლა ზემოხსენებული ჟანგბადის აქტიური ფორმების როლი ღმ-ს NAD-H-სენსიბილიზირებულ გახლეჩებში გრძელვადიანი ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებისას.

კვლევის ობიექტად ვიყენებდით პლაზმიდურ ღმ-ს. დასხივებას ვაწარმოებდით გრძელვადიანი ულტრაიისფერი გამოსხივებით (320-400 ნმ). NAD ფოტოსენსიბილიზირებულ გახლეჩებში მონაწილე ჟანგბადის სხვადასხვა აქტიური ფორმების ინჰიბიტორებისა და დამთრგუნველების (ნატრიუმის აზიდი, ნატრიუმის ბენზოატი, კატალაზა და სუპეროქსიდისმუტაზა) გამოყენებით ნაჩვენებია მათი ფარდობითი როლი გახლეჩების წარმოქმნაში. მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ჰიდროქსიდრადიკალი ( $OH$ ) და სინგლეტური ჟანგბადი ( $O_2$ ) უშუალოდ იწვევენ ღმ-ს ერთჯაჭვიან გახლეჩებს. წყალბადის ზეჟანგს უშუალოდ არ შეუძ

ლია ღმმ-ს გახლეჩა, მაგრამ იგი მნიშვნელოვანი შუამავალია ჰიდროქსილ-რადიკალის ( $\cdot\text{OH}$ ) სუპეროქსიდანიონრადიკალიდან ( $\text{O}_2^-$ ) წარმოქმნის პროცესში, რომელიც თავის მხრივ,  $\text{NAD}^+\text{-H}$ -ს ფოტოგენერაციის პროდუქტია.

საკვანძო სიტყვები: ქანგბადის აქტიური ფორმები, სენსიბილიზაცია, ინიბიტორი, პლაზმიდური ღმმ

გრძელტალღიანი ულტრაიისფერი სინათლის (320-400 ნმ) მიკროორგანიზმებზე მოქმედებისას ლეტალური და მუტაგენური ეფექტები ძირითადად განპირობებულია ღმმ-ს დაზიანებით [3, 16, 22, 23]. ღმმ-ს დაზიანების მექანიზმი რთულია და ვითარდება არაპირდაპირი ფოტოდინამიკური მექანიზმით, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა უჯრედშიგა სენსიბილიზატორი [11], რომელთაც მიეკუთვნება 4-თოურიდინი, რიბოფლავინი,  $\text{NAD}^+\text{-H}$  და სხვ. [19]. ბაქტერიულ ღმმ-ზე ჩატარებული მოდელური ცდებით დადგინილია, რომ ამ სენსიბილიზატორებს აქვთ ღმმ-ს გახლეჩის უნარი [17]. ამასთან, ახლახან ნანახი იქნა, რომ  $\text{NAD}^+\text{-H}$ , როგორც ფოტოსენსიბილიზატორი, იწვევს პლაზმიდური ღმმ-ს გახლეჩას [1].

საინტერესოა მონაცემები, რომლებიც ასაბუთებს, რომ გრძელტალღიანი ულტრაიისფერი გამოსხივებით გამოწვეულ საფუარის უჯრედების ინაქტივაციაში სენსიბილიზატორის ფუნქციას ასრულებს ბირთვული  $\text{NAD}^+\text{-H}$  [4].

ერთი მხრივ ის ფაქტი, რომ  $\text{NAD}^+\text{-H}$  უჯრედის ბირთვში იწვევს სუპეროქსიდანიონრადიკალის ( $\text{O}_2^-$ ) ფოტოგენერაციას და მეორე მხრივ კი ის, რომ  $\text{O}_2^-$ -ის ჩამშობი (ტაირონი) საფუარის უჯრედებს ფოტონაქტივაციისაგან იცავს, საფუძვლად დაედო მოსაზრებას, რომ  $\text{O}_2^-$  არის ინიციატორი პროცესისა, რომლის შედეგია ღმმ-ს დაზიანება.

$\text{NAD}^+\text{-H}$ -ს უნარი გამოიწვიოს  $\text{O}_2^-$  ფოტოგენერაცია, შესწავლილია კანიგამისა და თანავეტორების მიერ [8]. ამასთან, გამოთქმულია მოსაზრება, რომ  $\text{O}_2^-$  ანიონ-რადიკალი ხასიათდება სუსტი რეაქციისუნარიანობით [12, 13]. კადემ და თეულმა დაადგინეს, რომ  $\text{O}_2^-$  არ ურთიერთქმედებს პურინისა და პირიმიდინის ნუკლეოტიდებთან [7]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ღმმ-ს დაზიანებას უნდა იწვევდეს ქანგბადის სხვა აქტიური ფორმები, რომელთა რეაქციისუნარიანობა  $\text{O}_2^-$ -თან შედარებით, უფრო მაღალია. ეს შეიძლება იყოს სინგლეტური ქანგბადი ( $^1\text{O}_2$ ) და წყალბადის ზეჟანგი ( $\text{H}_2\text{O}_2$ ), რომლებიც წარმოიქმნება  $\text{O}_2^-$ -ის დისმუტაციის შედეგად [14], და აგრეთვე ჰიდროქსილის რადიკალი ( $\cdot\text{OH}$ ), რომელიც წარმოიქმნება  $\text{H}_2\text{O}_2$ -დან ხაბერვეისის რეაქციაში.

გვგვარეშეა, ზემოთ დასახელებული ქანგბადის აქტიური ფორმები ან პირდაპირი ზემოქმედებით იწვევს ღმმ-ს დაზიანებას, ან დასაბამს აძლევს რეაქციას, რომლის საბოლოო შედეგია ღმმ-ს დაზიანება [6, 9, 20]. ამავე დროს გაურკვეველია თითოეული მათგანის კონკრეტული როლი ფოტოსენსიბილიზებულ დესტრუქციის პროცესებში, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მრავალ ფაქტორზე, რომელთაგანაც ერთ-ერთი პრინციპული მნიშვნელობა აქვს სენსიბილიზატორის ტიპს.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ჟანგბადის აქტიური ფორმების როლი ღმმ-ს NAD·H-სენსიბილიზებულ გახლეჩებში გრძელტალღიანი ულტრაიისფერი გამოსხივების შემოქმედებისას.


## მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტად ვიყენებდით პლაზმიდურ ღმმ-ს, რომელსაც ეყოფოდა Echerichia coli-დან მანიატისის მეთოდით [15]. ფოტოსენსიბილიზატორად ვიყენებდით NAD·H (Serva). სენსიბილიზებულ გახლეჩებში ჟანგბადის სხვადასხვა აქტიური ფორმების როლის გასარკვევად ღმმ-ს დასხივებამდე უმძაბრებდით შემდეგ დამორგუნველებს: სუპეროქსიდდისმუტაზას (Sigma), კატალაზას (Sigma), ნატრიუმის აზიდს (Merck) და ნატრიუმის ბენზოატს (Merck).


## შედეგები და მათი განხილვა

სურ. 1-ზე მოცემულია იმ ექსპერიმენტის შედეგები, რომელშიც გრძელტალღიანი ულტრაიისფერი გამოსხივების ფიქსირებული დოზის პირობებში შეისწავლებოდა NAD·H-ის კონცენტრაციის გაგვინა სუპერსპირალური ღმმ-ს რელაქსაციაზე. ნაჩვენებია, რომ რელაქსაციის მაქსიმალური ეფექტი მიიღება NAD·H-ის 1 მილიმოლი კონცენტრაციის შემთხვევაში. ამიტომ, ექსპერიმენტის შემდეგ სერიებში, რომელიც ტარდებოდა ჟანგბადის სხვადასხვა აქტიური ფორმების დამორგუნველებისა და ინჰიბიტორების თანაობისას, ვიყენებდით NAD·H-ის აღნიშნულ კონცენტრაციას. პლაზმიდური ღმმ-ს I და II ფორმების რაოდენობრივ ცვლილებასა და გრძელტალღიან ულტრაიისფერ გამოსხივების დოზას შორის დამოკიდებულებას კონტროლთან (დამორგუნველის გარეშე) შედარებით ცვლის არეში აზიდის, კატალაზას, Na<sup>+</sup>ბენზოატის და სუპეროქსიდდისმუტაზას (ს/ფ) დამატება. მუდავნდება დამორგუნველების განსხვავებული მოქმედება (სურ. 2). აზიდი და კატალაზა მთლიანად თრგუნავენ ღმმ-ში გახლეჩების წარმოქმნას, მაშინ, როდესაც ნატრიუმის ბენზოატისა და ს/ფ-ს დამცველობითი ეფექტი შედარებით მცირე ხარისხით ვლინდება.

მიღებული შედეგების ასახსნელად დავაკვირდეთ ჟანგბადის აქტიური ფორმების წარმოქმნისა და მათზე დამორგუნველების მოქმედების სქემას (სურ. 3). სქემიდან ჩანს, რომ ბენზოატი და აზიდი <sup>1</sup>OH-ს ეფექტური ჩამშობებია [5, 18]. ამიტომ ჩვენი მონაცემები მათი ინჰიბიტორული მოქმედების შესახებ ღმმ-ს გახლეჩებში <sup>1</sup>OH-ს რადიკალის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. ამასთან, აზიდი ეფექტურად ახშობს <sup>1</sup>O<sub>2</sub>-საც (სურ. 3) [21], ბენზოატს კი არ შეუძლია სინგლეტური ჟანგბადის ჩამშობა [18]. ეს კი, ერთი მხრივ, გასაგებს ხდის აზიდის ძლიერ დამცველობით ეფექტს (ბენზოატთან შედარებით) და მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ ღმმ-ს NAD·H სენსიბილიზებულ გახლეჩებში მონაწილეობს <sup>1</sup>O<sub>2</sub>, რომელიც წარმოიქმნება <sup>1</sup>O<sub>2</sub><sup>-</sup>-ს სპონტანური დისმუტაციის პროცესში (სურ. 3).



სურ. 1. სუპერსპირალური ღმმ-ს რელაქსაციის დამოკიდებულება NAD-H-ის კონცენტრაციაზე ულტრაიისფერი სხივებით დასხივებისას (დოზა 97,2 კჯ/მ<sup>2</sup>)




სურ. 2. NAD-H-სენსიბილიზებული სუპერსპირალური ღმმ-ს რელაქსაციის დამოკიდებულება გრძელტალღიანი ულტრაიისფერი გამოსხივების დოზაზე სხვადასხვა დამორგუნეველების თანაობისას. 1 - პლაზმიდური ღმმ +  $10^{-4} M$  NAD-H + O<sub>2</sub>, 2 - პლაზმიდური ღმმ +  $10^{-4} M$  NAD-H + 50 მკგ/მლ სოფ-ი, 3 - პლაზმიდური ღმმ +  $10^{-4} M$  NAD-H + Na<sup>+</sup>-ბენზოატი, 4 - პლაზმიდური ღმმ +  $10^{-4} M$  NAD-H + 50 მკგ/მლ კატალაზა, 5 - პლაზმიდური ღმმ +  $10^{-4} M$  NAD-H +  $10^{-2} M$  NaN<sub>3</sub>.

<sup>1</sup>O<sub>2</sub>-ის უნარი გამოიწვიოს ღმმ-ს გახლეჩა, ასევე მტკიცდება მონაცემებით, რომლებიც მიღებულია სუპერსპირალური ღმმ-ს რელაქსა-



ციის ს(°)დ-ით ინჰიბირებისას. მართლაც, როგორც სქემიდან (სურ. 3) ჩანს, სპონტანური დისმუტაციისაგან განსხვავებით ს(°)დ-დისმუტაციის შემთხვევაში სინგლეტური ჟანგბადი არ წარმოიქმნება და, შესაბამისად, არც მისი ჩართვა ხდება ღნმ-ს დაზიანების პროცესში.




სურ. 3. ჟანგბადის აქტიური ფორმების წარმოქმნისა და მათზე დამორგუნველების მოქმედების სქემა. I -  $O_2^-$ -ს სპონტანური დისმუტაცია, II -  $O_2^-$ -ს დისმუტაცია ს(°)დ-ის მონაწილეობით.

წყალბადის ზეჟანგის როლის განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ  $O_2^-$ -ისა და  $OH$ -ის ჩამხშობი (აზიდი) საეხებით იცავს ღნმ-ს NAD-H-სენსიბილიზებულ გახლეჩებისაგან. ამ დაკვირვებებიდან მტკიცდება  $H_2O_2$ -ის უუნარობა – პირდაპირი მოქმედებით გამოიწვიოს სუპერსპირალური ღნმ-ს რელაქსაცია. თუმცა, კატალაზას გამოყენებით ჩატარებული ექსპერიმენტებიდან გამომდინარე უნდა გვეფიქრა საწინააღმდეგო, რადგან კატალაზა, რომელიც შლის წყალბადის ზეჟანგს, იწვევს სუპერსპირალური ღნმ-ს რელაქსაციის ინჰიბირებას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კატალაზას დამცველობითი ეფექტი ემყარება მის უნარს, დათრგუნოს  $OH$ -ის წარმოქმნა (სურ. 3). გარდა ამისა, კატალაზას, როგორც არასპეციფიკურ ჩამხშობს, შეუძლია სინგლეტურ ჟანგბადთან ურთიერთქმედების შედეგად შეამციროს ღნმ-თან  $O_2^-$ -ის ურთიერთქმედების ეფექტურობა, რადგან ცნობილია, რომ კატალაზას ამინმჟავურ ნაშთებთან  $O_2^-$ -ის რეაქციის კონსტანტა რამდენადმე აღემატება ღნმ-თან  $O_2^-$ -ის რეაქციის კონსტანტას [4].

ამგვარად, კატალაზასა და აზიდის გამოყენებით ჩატარებული ექსპერიმენტებიდან გამომდინარეობს, რომ წყალბადის ზეჟანგი  $O_2^-$ -ის NAD-H-სენსიბილიზებული გარდაქმნის რეაქციებში მოქმედებს, როგორც მნიშვნელოვანი შუამავალი და მას პირდაპირი მოქმედებით არ შეუძლია ღნმ-ს გახლეჩა.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ღნმ-ში NAD-H-სენსიბილიზებული ერთჯაჭვიანი გახლეჩების წარმოქმნის პროცესი რთულია და მასში ჩართულია ჟანგბადის სხვადასხვა აქტიური ფორმები. მათი ფარდობითი როლი უშუალოდ გახლეჩების წარმოქმნაში ჯერჯერობით დაუდგენელია, მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებსა და

ლიტერატურის მონაცემებზე [8, 10] დაყრდნობით იმ რეაქციის თანმიმდევრობა, რომელიც იწვევს ღმმ-ს NAD-H-სენსიბილიზებულ გახლეჩებას, შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემით:



სადაც, NAD<sup>+</sup> არის NAD-H-ის დაუანგული ფორმა, რომელიც წარმოიქმნება ფოტოაგზნებული სენსიბილიზატორიდან (NAD·H\*) უანგბადზე ელექტრონის გადატანით. მოცემული სქემა არ გამორიცხავს სუპერსპირალური ღმმ-ს გახლეჩის პროცესში უანგბადის სხვა აქტიური რადიკალების მონაწილეობას. NAD-H-ფოტოსენსიბილიზებულ რეაქციებში მათი როლის განსაზღვრა საჭიროებს სპეციალური კვლევის ჩატარებას.

## ლიტერატურა

1. Бурчуладзе Т.Г., Сидерис Э.Г., Фрайкин Г.Я. Биофизика, 1990, 35, 722-725.
2. Красновский А.А. В кн.: Молекулярные механизмы биологического действия оптического излучения. 1988, 17-29.
3. Фрайкин Г.Я., Поспелов М.Е., Киртичникова Н.А., Тимофеев К.Н. Биофизика, 1989, 34, 251-254.
4. Фрайкин Г.Я. В кн.: Молекулярные механизмы биологического действия оптического излучения. М., "Наука", 1988.
5. Blazek E.R., Peak M. J. International Journal of Radiation Biology, 1988, 53, 2, 237-247.
6. Blazek E.R., Peak J.G., Peak M. J. Photochemistry and Photobiology, 1989, 49, 5, 607-613.
7. Cadet J., Berger M., Decarroz C., Wagner J.R., Van Lier J.E., Ginot Y.M., Vigny P. Biochimie, 1986, 68, 813-834.
8. Cunningham M.L., Johnson J.S., Giovanazzi S.M., Peak M. J. Photochemistry and Photobiology, 1985, 42, 2, 125-128.
9. Cunningham M.L., Peak J.G., Peak M. J. Mutation Research, 1987, 184, 3, 217-222.
10. Czochralska B., Kawczynski W., Bartosz G., Shugar D. Biochimica et Biophysica Acta, 1984, 801, 403-409.
11. Eisestark A. Environ.Mol.Mutagen, 1987, 10, 317-337.
12. Fee J. A. Trends Biochem. Sci., 1982, 7, 84-86.
13. Halliwell B. Trends Biochem. Sci., 1982, 7, 270-272.
14. Laustriat G. Biochimie, 1986, 68, 771-778.
15. Maniatis T., Fritsch E.F., Sambrook J. Molecular Cloning, 1982.
16. Peak M.J., Peak J.G. Physiol plant., 1983, 58, 367-372.
17. Peak J.G., Peak M.J., MacCoss M. Photochemistry and Photobiology, 1984, 39, 5, 713-716.
18. Peak J.G., Peak M.J., Foote C.S. Photochemistry and Photobiology, 1986, 44, 2, 111-116.
19. Peak M.J., Peak J.G. In the Biological Effects of UVA Radiation (Edited by F. Urbach and R.W. Gange), 1986, Pleum Press, New York, pp. 42-56.
20. Peak M.J., Peak J.G. Photochemistry and Photobiology, 1990, 51, 6, 649-652.
21. Tyrrell R.M., Pidoux M. Photochem.Photobiol. 1989, 49, 407-412.
22. Tyrrell R.M., Keyse S.M. Journal of Photochemistry and Photobiology, 1990, B: Biology, 4, 4, 349-361.
23. Webb R.B. Photochemical and photobiological reviews. N.Y. : Plenum press, 1977, 2, 169-264.

## ИЗУЧЕНИЕ РОЛИ ТУШИТЕЛЕЙ И ИНГИБИТОРОВ АКТИВНЫХ ФОРМ КИСЛОРОДА В ПОДАВЛЕНИИ ОБРАЗОВАНИЯ ОДНОНИТЕВЫХ РАЗРЫВОВ ПЛАЗМИДНОЙ ДНК ПРИ ОБЛУЧЕНИИ БЛИЖНИМ УФ-СВЕТОМ

*Н. Джулакидзе, Т. Бурчуладзе, М. Шенгелия, М. Гачава, Б. Ломсадзе*

Тбилисский государственный университет им. М. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Согласно полученным в последнее время данным, основной мишенью при летальном действии ближнего ультрафиолетового света (320–400 нм) на клетки микроорганизмов служат молекулы ДНК. Процесс повреждения ДНК сложный и происходит по непрямому фотодинамическому механизму с участием различных внутриклеточных сенсibilизаторов, таких, как 4-тиоуридин, рибофлавин, НАД-Н и др.

Интересны данные, которые доказывают, что ядерный НАД-Н участвует в инактивации дрожжевых клеток как эндогенный сенсibilизатор и способен фотогенерировать супероксидный анион-радикал ( $O_2^-$ ), который является слабореакционноспособной формой кислорода. Поэтому, вероятно, что в повреждении ДНК участвуют другие активные формы кислорода – синглетный кислород ( $^1O_2$ ), перекись водорода ( $H_2O_2$ ) и гидроксильный радикал ( $^{\bullet}OH$ ), образующиеся в реакции Фентона, реакционноспособность которых выше, чем у  $O_2^-$ . В этой связи представляло интерес исследовать вопрос о возможном участии этих форм активированного кислорода в НАД-Н-фотосенсibilизированном образовании разрывов в ДНК.

В качестве объекта исследования использовали плазмидную ДНК. Облучение проводили длинноволновым светом (320–400 нм). С использованием тушителей и ингибиторов активных форм кислорода (азид натрия, бензоата натрия, каталазы и супероксиддисмутазы), участвующих в НАД-Н-фотосенсibilизированных разрывах, показана их относительная роль в образовании разрывов. Из полученных данных следует, что гидроксильный радикал ( $^{\bullet}OH$ ) и синглетный кислород ( $^1O_2$ ) прямым действием вызывают однонитевые разрывы в ДНК. Перекись водорода прямым действием не может участвовать в разрывах ДНК и действует как значительный посредник в процессе образования гидроксильного радикала ( $^{\bullet}OH$ ) из супероксид анион-радикала ( $O_2^-$ ), который является продуктом фотогенерации НАД-Н.

## STUDY OF ROLE OF BLOWERS AND INHIBITORS OF ACTIVE FORMS OF OXYGEN IN SUPPRESSION OF SINGLE-THREAD BREAKS IN PLASMID DNA BY UV-IRRADIATION

*N. Julakidze, T. Burchuladze, M. Shengelia, M. Gachava, B. Lomsadze*

I. Javakhishvili Tbilisi State University

### SUMMARY

It has been demonstrated recently that near-UV killing of microorganisms is mainly effected through DNA damage. The process of DNA lesion formation is highly complex and seems to evolve through an indirect photodynamic mechanism involving various intracellular sensitizers, such as 4-thiouridine, riboflavin, NAD-H, etc.

It is interesting to note in this context that nuclear NAD·H may photogenerate a superoxide anion-radical ( $^{\cdot}\text{O}_2^-$ ), but  $^{\cdot}\text{O}_2^-$  is believed, however, to have weak reactivity. It is therefore more probable that there are other highly reactive oxygen varieties rather than  $^{\cdot}\text{O}_2^-$  that cause DNA damage. These may be singlet oxygen ( $^1\text{O}_2$ ) and hydrogen peroxide ( $\text{H}_2\text{O}_2$ ) arising as a result of  $^{\cdot}\text{O}_2^-$  dismutation, and also hydroxyl radical ( $^{\cdot}\text{OH}$ ), which may be formed from  $\text{H}_2\text{O}_2$  in  $^{\cdot}\text{O}_2^-$  driven Fenton reaction. An attempt is made in the present paper to elucidate the role of the above-mentioned activated oxygen varieties in NAD·H-sensitized DNA break formation under near-UV irradiation.

It is shown that NAD·H-photosensitized formation of single-strand breaks (frank breaks) in plasmid DNA pBR 322 in vitro depends on both concentration of the sensitizer and the near-UV radiation (320-400 nm) fluency. Scavengers and inhibitors of different activated oxygen varieties (sodium azide, sodium benzoate, catalase and superoxide dismutase) prevent completely or partly formation of the breaks. The data obtained show that hydroxyl radical ( $^{\cdot}\text{OH}$ ) and singlet oxygen ( $^1\text{O}_2$ ) are directly involved in induction of the breaks. Hydrogen peroxide plays the role of intermediate in the reaction of  $^{\cdot}\text{OH}$  formation from superoxide anion-radical ( $^{\cdot}\text{O}_2^-$ ), which is the first NAD·H-photogenerated product.

## აზტორთა საყურადღებოდ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 22 ნოემბრის № 138 დადგენილებით შურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია” გაიყო ორ – A და B – სერიებად.

დადგენილების თანახმად, სერია A დარჩა არსებული შურნალის პირდაპირ სამართალმემკვიდრედ და ავრძელებს შესაბამის ნუმერაციას. ამ სერიის შურნალში დაიბეჭდება, უპირატესად, ფიზიოლოგიური (აღამიანისა და ცხოველთა) და ბიოსამედიცინო დარგების (ექსპერიმენტული ხასიათის) ნაშრომები. სერია B მიიღებს მხოლოდ ე.წ. კლასიკური ბიოლოგიის დარგების ნაშრომებს (B სერიის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი).

შურნალ “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია – A”-ს სარედაქციო კოლეგია და სარედაქციო საბჭო დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2002 წლის 14 მარტის № 36 დადგენილებით.

აკადემიკოსი *ვაჟა ოკუჯავა*,  
შურნალის მთავარი რედაქტორი

## ინსტრუქცია აზტორთათვის

სამეცნიერო წერილებს შურნალი ბეჭდავს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე, ავტორთა სურვილისამებრ. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს უნდა დაერთოს რეზიუმე (არა უმეტეს 250 სიტყვისა) სამივე ჩამოთვლილ ენაზე. რეზიუმე უნდა შეიცავდეს სათაურს, ავტორთა გვარებს და მათი სამუშაო დაწესებულების დასახელებას, კვლევის მიზანს, მეთოდებს, შედეგებს და მათ განხილვას.

სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმეების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვითი ხასიათის წერილის წარმოდგენამდე ავტორმა უნდა მიიღოს რედაქციის წინასწარი თანხმობა. ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს სტანდარტული რუბრიკაციით: შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, დამოწმებული ლიტერატურა. უკანასკნელი მკაცრად ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი, ხოლო ტექსტში წყაროების მითითება უნდა ხდებოდეს კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ნომრებით. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს ე.წ. საკვანძო სიტყვათა მოკლე (4-6) სია. ლიტერატურის სიაში არ უნდა იყოს გამოტოვებული ბიბლიოგრაფიული ცნობები – წელი, ტომი, ნომერი, პირველი და ბოლო გვერდი, წიგნის გამოცემის ადგილი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და სხვ.

შურნალში გამოსაქვეყნებელი წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ქაღალდზე ამობეჭდილი (2 ცალად), ისე ელექტრონული ფორმით – კომპიუტერულ დისკეტზე. კომპიუტერზე ტექსტის აკრფისას ავტორებმა უნდა გაითვალსწინონ შემდეგი წესები: ქართული ტექსტისთვის დაუშვებელია ისეთი შრიფტის გამოყენება, რომელიც რუსულ კლავიატურასთანაა დაკავშირებული. ოპტიმალური ფონტებია AcadNusx და AcadMtavr. რუსული და ინგლისური ტექსტები აუცილებლად Times New Roman-ით უნდა იყოს აკრფილი. ფონტის

(შრიფტის) ზომა ყველგან – 12. ცხრილებში დასაშვებია უფრო მცირე ზომის ფონტებიც. ცხრილები, ტექსტის მსგავსად, უნდა დამზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და დიაგრამები – Excel-ში. მკაფიო გრაფიკები და შავ-თეთრი ფოტოსურათები მიიღება აგრეთვე ორიგინალების (არაელექტრონული) სახითაც. ფერადი სურათები ჟურნალში დაიბეჭდება შავ-თეთრი სახით. კომპიუტერულ დისკეტზე წარმოდგენილი წერილი მთლიანად ერთი ფაილით უნდა იყოს შენახული, ხოლო ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის გვარს უნდა ატარებდეს. დამატებით (ცალკე) ფაილად შეიძლება მხოლოდ Excel-ში შესრულებული ილუსტრაციების წარმოდგენა. კომპიუტერული დისკეტი უნდა იყოს მანამდე უხმარი, ვირუსებისაგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა მასალას. **დისკეტი ავტორს არ უბრუნდება.**

სურათები, გრაფიკები და სხვა ილუსტრაციები ცალკე ფურცელზე უნდა იყოს წარმოდგენილი და მათი ტექსტში ჩაკაბადონება დაუშვებელია. სურათების წარწერები, იმავე ფაილის ბოლოს, წერილის ტექსტის შემდეგ უნდა იყოს აკრეფილი. საკუთრივ ტექსტი ყოველგვარი დაკაბადონების გარეშე უნდა აიკრიფოს 1,5 ინტერვალით. წერილი უნდა დაიბეჭდოს A4 ფორმატის ქაღალდზე, ველებით ზევით და ქვევით – 2,5 სმ, მარცხნივ – 3 სმ და მარჯვნივ – 2 სმ.

**ჟურნალის ბეჭდვა ავტორთა ხარჯებით ხორციელდება.** ბეჭდვის დასაფარი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს წერილზე დადებითი რეცენზიის მიღებისთანავე. რეცენზენტის მიერ წერილის დაწუნების შემთხვევაში ავტორს უბრუნდება მისი ხელნაწერის ერთი პირი, ხოლო დისკეტი ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების სამეცნიერო რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის შენიშვნები. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი, დამატებითი რეცენზირებისთვის, გაეკზავნება სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, წერილი ავტორს დააუბრუნდება უპირობოდ.

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ნაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლ. გოთუას ქ. № 14, იბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. წერილებს მიიღებენ: გურამ ბექაია (IX სართული, ტელ.: 37-42-16); ალექსანდრე ქორელი (III სართული, ტელ.: 37-04-79).

93/4